ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“

თამთა მაყიშვილი

ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში

ნაშრომი შესრულებულია განათლების მეცნიერებების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: თამაზ კარანაძე,
თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ემერიტუს
პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი

2019

ანოტაცია

ყოველმხრივ განვითარებული, ჩამოყალიბებული და განათლებული პიროვნების აღზრდის პროცესში, რასაც ჩვენ ჰარმონიულ აღზრდას ვუწოდებთ, უდიდესი როლი ენიჭება ესთეტიკურ აღზრდას. ესთეტიკური აღზრდა პედაგოგიკისა და აღზრდის ორგანული ნაწილია, რომლის გარეშეც აღზრდის სხვა შემადგენელი ნაწილები, იქნება ეს გონებრივი, ფიზიკური, ზნეობრივი თუ შრომითი აღზრდა, სრულფასოვნად ვერ იმუშავებდა. ესთეტიკური აღზრდა გამჭოლი კომპეტენციაა, რაც ნიშნავს იმას, რომ მისი ელემენტები ჩადებულია ყველა საგნის სწავლებაში, თუმცა, სკოლაში საგანმანათლებლო რეგულაციები ესთეტიკური აღზრდის ჯგუფში აერთიანებს შემდეგ საგნებს - მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებას. აღნიშნული საგნების გაკვეთილებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ პიროვნების ჰარონიულად ჩამოყალიბების პროცესში. უდიდესია მათი აღმზრდელობითი ფუნქცია. ამდენად, ესთეტიკური აღზრდის სწავლების კვლევა, უფრო ზუსტად კი მუსიკისა და ხელოვნების გაკვეთილების პროცესის კვლევა ჩვენთვის **აქტუალურ** საკითხს წარმოადგენს.

აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით განვიხილეთ საკანონმდებლო რეგულაციები, შევისწავლეთ საგანმანათლებლო დოკუმენტები და ესთეტიკური აღზრდის სწავლების კუთხით უცხო ქვეყნის გამოცდილება, მოვიძიეთ სხვადასხვა კვლევები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და აღმოჩნდა, რომ ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლების პროცესი ჯერ არავის უკვლევია. ასე რომ, ამ კუთხით აღნიშნული ნაშრომი **სიახლეს** წარმოადგენს.

ჩვენი კვლევის ირგვლივ შევიმუშავეთ **ჰიპოთეზა**. ვფიქრობთ, რომ სკოლებში თითქმის არ ხორციელდება ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი ის მიზნები და ამოცანები, რომლებსაც დოკუმენტი აღნიშნულ საგნებს (მუსიკა, ხელოვნება) აკისრებს, შესაძლოა მასწავლებელთა უმრავლესობას არ აქვს საკმარისი ცოდნა ესთეტიკური აღზრდის საგანთა მიზნების შესახებ. და ასევე, ჩვენი აზრით, მოსწავლეთა ჩართულობა და დაბალი ინტერესი საგნების მიმართ, შესაძლოა გამოწვეული იყოს მასწავლებელთა პროფესიონალიზმის ხარისხით.

სამაგისტრო ნაშრომის **მიზანია** საჯარო სკოლებში ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლების პრაქტიკის კვლევა დაწყებით და საბაზო საფეხურზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი **ამოცანები**:

- სამაგიდე კვლევა: არსებული კვლევები, საკანონმდებლო ბაზა;
- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება;
- ემპირიული კვლევის ჩატარება;
- დასკვნებისა და რეკომენდაციის შემუშავება.

ნაშრომის **კვლევის საგანია** ზოადსაგანმანათლებლო სკოლაში ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლების საკითხი, ხოლო **ობიექტი** - საჯარო სკოლებში დაწყებით და საბაზო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის საგნების მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების პროცესი.

ნაშრომში გამოვიყენეთ როგორც **თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები,** კერძოდ, ჩაღრმავებული ინტერვიუ მასწავლებლებთან. ალბათური შერჩევის მეთოდით გამოვკითხეთ 10 სკოლის მუსიკისა და ხელოვნების 20 მასწავლებელი. და კითხვარის საშუალებით ამავე სკოლებიდან გამოვკითხეთ საბაზო საფეხურის 150 მოსწავლე. აღნიშნული კვლევის შედეგები დეტალურადაა მოცემული წინამდებარე ნაშრომში.

Makishvilli Tamta

Issues related to the teaching of aesthetic upbringing at secondary school

Annotation

In the process of developing a well-developed, mature and educated personality, that we call harmonious upbringing, a great role is given to aesthetic upbringing. Aesthetic upbringing is an organic part of pedagogy and upbringing, and without this, other components of the upbringing, for example, physical, moral, mental, or labor education would not be fully accomplished. Aesthetic upbringing is visible competence. It means that its elements are in all teaching subjects, however , at schools, in the group of esthetic upbringing , educational regulations combines even Music and Art. These given subjects have an important role in the process related to harmonious upbringing of person and the most important is their upbringing function. So, Aesthetic Study Research, more exactly, research on music and art lessons is a topical issue for us.

In this regard, we discussed the legislative regulations, studying educational documents and experiences toward learning of aesthetic education in foreign countries, we have found several different studies on this issue and it found out that the process of learning aesthetic education has not been researched yet. So, in this regard, the work is a novelty.

We have developed hypotheses around our research. We think that schools do not have realized almost all the goals and objectives set out in the National Curriculum that the document imposes these subjects (music, art). Most teachers may not have enough knowledge of the goals of aesthetic education. Also in our opinion , the involvement of pupils and low interest towards subjects may be caused by the quality of teachers' professionalism.

The aim of the Master's Thesis is to study the practices of teaching aesthetic upbringing in public schools at the primary and basic level. To accomplish this goal, we set the following tasks:

- Desk research: existing researches, legislative base;
- Determining the research methodology;

- Developing the research tool;
- Conducting empiric research;
- Developing conclusions and recommendations;

The subject of research is the issue of teaching of aesthetic educational courses at the schools. And an object is the process of teaching music and visual and applied arts in aesthetic upbringing topics at primary and basic schools. .

In the work, we used both, qualitative and quantitative research methods, in particular, in-depth interview with teachers. We have examined 20 teachers of music and art in 10 schools with a probabilistic selection method. The results of this research are detailed in the present work. And through the questionnaire, we examined 150 pupils of the basic level from the same schools. The results of the research are detailed in the present work.

სარჩევი

შესავალი 7

თავი I - ესთეტიკური აღზრდა, როგორც აღზრდის შემადგენელი ნაწილი 10

§1.1 აღზრდა; აღზრდის შემადგენელი ნაწილები 10

§1.2 ესთეტიკა, ტერმინის განმარტება, ისტორია, ესთეტიკური კატეგორიები 13

§1.3 ესთეტიკური აღზრდა - რაობა და მნიშვნელობა 20

თავი II- ესთეტიკური აღზრდის ზოგადი საფუძვლები 23

§2.1 ესთეტიკური აღზრდის პედაგოგიური საფუძვლები 23

§2.2 ესთეტიკური აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები 25

§2.3 ესთეტიკური აღზრდის ზოგადი პრინციპები 31

თავი III - ესთეტიკური აღზრდის საკითხები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში 34

§3.1 ესთეტიკური აღზრდა სკოლაში - საგანმანათლებლო პოლიტიკის დოკუმენტების მიმოხილვა 34

§3.2 მუსიკისა და ხელოვნების გაკვეთილების აღმზრდელობითი ფუნქცია 37

§3.3 ესთეტიკური აღზრდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო პროცესში 41

თავი IV- უცხო ქვეყნის გამოცდილება: ესთეტიკური აღზრდის საკითხები ესტონეთის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით 47

კვლევითი ნაწილი 51

დასკვნები 79

რეკომენდაციები 81

გამოყენებული ლიტერატურა 82

დანართი 1

შესავალი

პიროვნების აღზრდასა და ჰარმონიულ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მისი ხელოვნებასთან ზიარება. სწორედ ეს ფუნქცია აქვს სკოლაში ესთეტიკური აღზრდის საგნებს. მათი შესწავლა უვითარებს მოსწავლეს სამყაროს მშვენიერების აღქმის უნარს, წარმოსახვას, შემოქმედებითობას, თვითგამოხატვის, კრიტიკული აზროვნების უნარებს, უღვივებს აღმოჩენისა და სიახლის ძიების სურვილს, რაც აუცილებელია მოსწავლის ნებისმიერი მომავალი საქმიანობისთვის და ამზადებს მას ცხოვრებისეული გამოწვევებისთვის. ამ საგნების შესწავლისას მოსწავლე ეუფლება თვითგამოხატვის განსხვავებულ საშუალებებსა და ფორმებს. ესთეტიკური აღზრდის საგნების შესწავლა აზიარებს მოსწავლეს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს და ამავდროულად ხელს უწყობს ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას.

ესთეტიკური აღზრდა გულისხმობს მოზარდში ისეთი თვისებების ჩამოყალიბების ერთიან პროცესს, როგორიცაა ზნეობა, შრომისმოყვარეობა, სამშობლოსა და ერის სიყვარული, სინდისი, პატიოსნება და სხვა. ესთეტიკური აღზრდა ადამიანის ჰარმონიული განვითარების ნაწილია. იგი გულისხმობს მოზარდში მშვენიერების, სილამაზის აღქმის, გაგებისა და განცდის უნარის გამომუშავებას, მხატვრული გემოვნების განვითარებას. ესთეტიკური აღზრდის მიზანია ადამიანში მშვენიერების განცდის ფორმირება.

ძირითადი ადგილი სადაც მიმდინარეობს ესთეტიკური აღზრდის მეტად რთული და მნიშვნელოვანი პროცესი სკოლაა. ესთეტიკური აღზრდის გარეშე შეუძლებელია მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბება, რაც სკოლაში სწავლის უმთავრესი მიზანია. პიროვნების ფორმირების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ესთეტიკურ აღზრდას, ვინაიდან აღზრდის ეს სახეობა გამჭოლი კომპეტენციაა მისი არსებობა თითქმის ყველა სფეროში შეინიშნება. ესთეტიკაა გარემო სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ურთიერთობები, ჩაცმულობა, ყველაფერი ჩვენ ირგვლივ. ესთეტიკურ აღზრდას ვხვდებით თითქმის ყველა გაკვეთილზე სკოლაში, იქნება ეს მათემატიკა, ქართული, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები თუ სხვა. თუმცა კი სამართლებრივი დოკუმენტების მიხედვით (ეროვნული სასწავლო გეგმა) ესთეტიკური აღზრდის

ჯგუფში გაერთიანებულია მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. ამდენად ჩვენი სამაგისტრო ნაშრომი ეხება სკოლაში ესთეტიკური აღზრდის ჯგუფში გაერთიანებული საგნების მუსიკისა და ხელოვნების სწავლების პროცესის კვლევას.

მუსიკისა და ხელოვნების გაკვეთილებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ პიროვნების ჰარონიულად ჩამოყალიბების პროცესში. უდიდესია მათი აღმზრდელობითი ფუნქცია. ამდენად ესთეტიკური აღზრდის კვლევა, უფრო ზუსტად კი მუსიკისა და ხელოვნების გაკვეთილების პროცესის კვლევა **აქტუალურ** საკითხს წარმოადგენს.

აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით განვიხილეთ საკანონმდებლო რეგულაციები, შევისწავლეთ საგანმანათლებლო დოკუმენტები და ესთეტიკური აღზრდის სწავლების კუთხით უცხო ქვეყნის გამოცდილება, მოვიძიეთ სხვადასხვა კვლევები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და აღმოჩნდა, რომ ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლების პროცესი ჯერ არავის უკვლევია. ასე რომ, ამ კუთხით აღნიშნული ნაშრომი **სიახლეს** წარმოადგენს.

ჩვენი კვლევის ირგვლივ შევიმუშავეთ **ჰიპოთეზა**:

- სკოლებში თითქმის არ ხორციელდება ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი ის მიზნები და ამოცანები, რომლებსაც დოკუმენტი აღნიშნულ საგნებს (მუსიკა, ხელოვნება) აკისრებს.
- შესაძლოა მასწავლებელთა უმრავლესობას არ აქვს საკმარისი ცოდნა ესთეტიკური აღზრდის საგანთა მიზნების შესახებ.
- მოსწავლეთა ჩართულობა და დაბალი ინტერესი საგნების მიმართ, შესაძლოა გამოწვეული იყოს მასწავლებელთა პროფესიონალიზმის ხარისხით.

სამაგისტრო ნაშრომის **მიზანია** საჯარო სკოლებში ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლების პრაქტიკის კვლევა დაწყებით და საბაზო საფეხურზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი **ამოცანები**:

- სამაგიდე კვლევა: არსებული კვლევები, საკანონმდებლო ბაზა;
- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება;

- ემპირიული კვლევის ჩატარება;
- დასკვნებისა და რეკომენდაციის შემუშავება.

ნაშრომის **კვლევის საგანია** ზოადსაგანმანათლებლო სკოლაში ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლების საკითხი, ხოლო **ობიექტი** - საჯარო სკოლებში დაწყებით და საბაზო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის საგნების მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების პროცესი.

ნაშრომში გამოვიყენეთ როგორც **თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები,** კერძოდ, ჩაღრმავებული ინტერვიუ მასწავლებლებთან. ალბათური შერჩევის მეთოდით გამოვკითხეთ 10 სკოლის მუსიკისა და ხელოვნების 20 მასწავლებელი. და კითხვარის საშუალებით ამავე სკოლებიდან გამოვკითხეთ საბაზო საფეხურის 150 მოსწავლე.

აღნიშნული კვლევის შედეგები დეტალურადაა მოცემული წინამდებარე ნაშრომში.

თავი I - ესთეტიკური აღზრდა, როგორც აღზრდის შემადგენელი ნაწილი

§1.1 აღზრდა; აღზრდის შემადგენელი ნაწილები

ესთეტიკური აღზრდის რაობაზე, წარმოშობასა თუ რიგ საკითხებზე საუბრისას, საჭიროა ზოგადად აღზრდის, როგორც რთული პროცესის შესახებ ვისაუბროთ. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღზრდა ის სუბიექტურ-ობიექტური კატეგორიაა თავისი ხასიათით, რომლის არარსებობის შემთხვევაში ღირებულთან შეხება არ გვექნებოდა. აღზრდას, როგორც მიზანმიმართულ პროცესს ერთადერთი მისია აკისრია - აღზარდოს ყოველმხრივ განვითარებული, ჩამოყალიბებული და განათლებული პიროვნება. თუ აღზრდის, როგორც სოციალური ხასიათის კატეგორიის მიზნებსა და ამოცანებზე გავაგრძელებთ საუბარს, უნდა აღინიშნოს, რომ მისი უმთავრესი მიზანი ჰარმონიული აღზრდის იდეაა. რას გულისხმობს აღნიშნული? უნდა ითქვას, რომ აღზრდის მიზანი ყოველმხრივ განვითარებული, ჩამოყალიბებული განათლებული და მორალურ-ზნეობრივად სრულყოფილებას მიღწეული ადამიანის ფორმირებაა.

როდესაც ჰარმონიულ აღზრდაზე და მის მიზნებზე ვსაუბრობთ პიროვნების ფორმირების პროცესში, საჭიროა აღვნიშნოთ ჰარმონიული აღზრდის შემადგენელ ნაწილებზე, მათ ჩამოყალიბებასა და შექმნაზე. როგორც ვიცით, ჰარმონიული აღზრდის იდეა ანტიკური საბერძნეთში ცნობილი ფილოსოფოსების არისტოტელესა და პლატონის ფილოსოფიაში აღმოცენდა. მათსავე ფილოსოფიურ ნააზრევში გაჩნდა ჰარმონიული აღზრდის შემადგენელი ნაწილებიც. გონებრივი, ფიზიკური, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდა ერთ მთლიანობად, განუყოფელ ნაწილებად იქცნენ და ოთხივე ერთად ჰარმონიული აღზრდის იდეას ატარებდა. მოგვიანებით კი ჰარმონიული აღზრდის იდეას შრომითი აღზრდაც დაემატა და დანარჩენ ნაწილებს შეესისხლხორცა. (პედაგოგიკა, 1944)

გონებრივი აღზრდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია პიროვნების ჰარმონიული აღზრდისა. პროცესი ორგანიზებულ გარემოში მიზანმიმართულად მიმდინარეობს, რომელშიც თანაბრად მონაწილეობს როგორც აღმზრდელი, ასევე

აღსაზრდელი. გონებრივ აღზრდას მეტად რთული და საყურადღებო ფუნქცია-მოვალეობები აკისრია. ამათგან ძალზე მნიშვნელოვანია მოზარდის მომზადება შემოქმედებითი აქტიური საქმიანობისთვის, რომლის დროსაც პიროვნება თავად გადაწყვეტს, გააანალიზებს და დასკვნებს გააკეთებს იმის შესახებ თუ რა არის უკეთესი და რა გზა უნდა აირჩიოს მომავალი საქმიანობის წარსამართად. გონებრივი აღზრდის მიზანია ბავშვის გონება მეცნიერული ცოდნით შეავსოს, რაც იმ მასალათა დაუფლებითა და სრულფასოვანი გააზრებით მიიღწევა, რომელთაც სასკოლო სახელმძღვანელოებსა თუ პროგრამებში, სასწავლო გეგმებში ვხვდებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია მოზარდი ლოგიკურ აზროვნებას მივაჩიოთ, რომელიც შემდგომში უნარად განვითარდება. ლოგიკური აზროვნება კი მოზარდს დასკვნების გამოტანში დაეხმარება. გონებრივი აღზრდის ამოცანებიდან ერთ-ერთი მთავარი ამოცანა შრომის კულტურის დანერგვაა. გონებრივი შრომის კულტურაზეა დამოკიდებული ის, რომ ადამიანი მოკლე დროში, ნაკლები ენერგიის დახარჯვით ითვისებს მისთვის საჭირო ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც მას მომავალი საქმიანობისთვის სჭირდება.

ჰარმონიული აღზრდის ერთ-ერთი ნაწილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფიზიკური აღზრდაა, რომელიც ჯანსაღი ორგანიზმის ჩამოყალიბების კანონზომიერი, ორგანიზებული პროცესია. აღზრდის ეს ნაწილი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ჯანმრთელი ორგანიზის გარეშე წარმოუდგენელია ყოველგარი საქმიანობის წარმართვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ფიზიკური აღზრდა მიზნად ისახავს მოზარდის ორგანიზმის სრულყოფილად განვითარებას და ისეთი ფიზიკური თვისებების ჩამოყალიბებას, როგორიცაა სისწრაფე, მოქნილობა, დროსა და სივრცეში სწორი და სწრაფი ორიენტაცია, ნებისყოფის განვითარება თუ სხვა. (პედაგოგიკა, 1944)

ფიზიკური აღზრდის იდეას შეგვიძლია მართებულად დავუკავშიროთ გამოთქმა „ჯანსაღ სეულში ჯანსაღი სულია“, ვინაიდან ფიზიკურად ჯანმრთელი ორგანიზმის გარეშე ვერ წარვმართავთ სრულყოფილ და ჯანსაღ გონებრივ მუშაობას. აქედან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღზრდის ზემოთ ჩამოთვლილი ორი სახეობა - გონებრივი და ფიზიკური აღზრდა ერთმანეთთან განუყოფლადაა

დაკავშირებული, და ცხადია ისიც, რომ რომელიმე ერთის გათიშვა ჰარმონიული აღზრდის იდეის დარღვევას განაპირობებს.

აღზრდის ნაწილებთან ორგანულადაა შერწყმული ზნეობრივი აღზრდა, რომლის მიზანი და რაობა მორალის გაგებიდან ამოდის. ეს კი გულისხმობს სწორად ქცევის ნორმების ჩამოყალიბებას ანუ იმას, თუ რა არის სწორი და რა არის არასწორი. მორალი ანუ ზნეობა ადამიანთა ქცევის წესების ერთობლიობაა, რომლებიც ადამიანთა შორის ურთიერთობებს აწესრიგებს. ზნეობრივი ადამიანი ისეთი უნარ-ჩვევებით აღიჭურება, რომლებიც მას ესთეტიკურ ადამიანად ჩამოაყალიბებს. რომელიც მზად იქნება სხვადასხვა სიტუაციაში ისე იმოქმედოს, რომ თავისი ქცევით სხვას ზიანი არ მიაყენოს.

თუ ზნეობრივი ანუ მორალური აღზრდის ამოცანებზე ვისაუბრებთ, უპირველესად უნდა დავასახელოთ მოზარდი თაობის შეიარაღება სიყვარულის, პატიოსნების, სამართლიანობისა და ჰუმანიზმის გრძნობებით. აღზრდის მეშვეობით პირი უნდა აღივჭურვოს ისეთი იდეებითა და უნარებით, რომლებიც სიკეთეს ემსახურებიან. სიკეთის ქმნა კი ადამიანს ერთიორად ამაღლებს, ამდიდრებს და სრულყოფილებასთან აახლოებს. დასასრულს, უნდა აღვნიშნოთ, რომ მორალური აღზრდა მოზარდს ასწავლის სწორად ქცევის წესებს და უნერგავს *„მოექეცი სხვას ისე, როგორც გინდა რომ მოგექცნენ შენ“*

როდესაც გონებრივი აღზრდის ამოცანებზე ვსაუბრობდით ვახსენეთ შრომითი უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომელიც ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი პირობაა და რომელიც ადამიანს საზოგადოებაში რეალიზების საშუალებას აძლევს. უნდა ითქვას, რომ ეს ამოცანა შრომითი აღზრდის ერთ-ერთი პირველთაგანი ამოცანაა. შრომა ადამიანის მიერ განხორციელებული მიზნამიმართული საქმიანობაა იმისთვის, რომ მან დაიკმაყოფილოს თავისი მატერიალური თუ სულიერი მოთხოვნილებები. დასაწყისში აღვნიშნეთ და სწორი იქნება გავიმეოროთ, რომ შრომითი აზრდა, როგორც ჰარმონიული აღზრდის შემადგენელი ნაწილი, მოგვიანებით, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში აღმოცენდა. რუსოს, პესტალოცის, კომენსკის, უშინსკისა და სხვათა პედაგოგიურ ნააზრევში გაჩნდა აუცილებლობა იმისა, რომ ჰარმონიულ აღზრდას შრომითი აღზრდაც მოეცვა და სხვა დანარჩენებთან ერთად ერთი მთლიანობა შეექმნა.

ორიოდე სიტყვით შრომითი აღზრდის ამოცანებზეც უნდა აღვნიშნოთ. მართებული იქნება, უპირველეს ამოცანად მოზარდის მიერ შრომის როლისა და მნიშვნელობის გაცნობიერება დავასახელოთ, ვინაიდან სწორედ გააზრებული მოქმედებითა და თვითშეგნებით იწყება სხვადასხვა გონებრივი თუ ფიზიკური საქმიანობის წარმართვა. შრომითი აღზრდის მიზანია შრომისადმი დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება და შრომა-საქმიანობის იმგვარად წარმართვა, რომ მოზარდს ჩამოუყალიბდეს შრომითი უნარ-ჩვევები. (ქ. ჭკუასელი, ი.ჭკუასელი; 2012)

§1.2 ესთეტიკა, ტერმინის განმარტება, ისტორია, ესთეტიკური კატეგორიები

როგორც ცნობილია, ესთეტიკური აღზრდა ესთეტიკიდან მომდინარეობს და მართებული იქნება თუ ჩვენს მსჯელობას, სწორედ აღნიშნული ტერმინის განმარტებით დავიწყებთ. ტერმინი **ესთეტიკა** ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს გრძნობადს, ხოლო ესთეტიკა, როგორც მეცნიერება ადამიანის მიერ სინამდვილის ესთეტიკურად ათვისების კანონზომიერებებს შეისწავლის. ბუნებრივია, რომ ესთეტიკური აღზრდა პიროვნების ესთეტიკური გემოვნებისა და იდეალების ჩამოყალიბების სისტემაა. ეს არის კანონზომიერი, მიზანმიმართული პროცესი, რომლის მიზანი სინამდვილის ესთეტიკური აღქმა და მხატვრული შემოქმედების უნარის გამომუშავებაა. (ქ. ჭკუასელი; 2012)

ესთეტიკა, როგორც ტერმინი პირველად გამოიყენა გერმანელმა ფილოსოფოსმა ალექსანდრ ბაუმგარტენმა, რაც აღნიშნავდა მოძღვრებას მშვენიერებაზე. ტერმინი ესთეტიკა კი წარმოსდგება ბერძნული გამოთქმიდან „აისთეტიკოს“, რაც ნიშნავს გრძნობით აღქმას. ესთეტიკა არის ის დარგი, რომელიც გრძნობებს გულისხმობს. მოგვიანებით მეცნიერმა განავითარა ეს ცნება და მას უფრო ფართო მნიშვნელობა დაუკავშირა და შემდგომში იგი ესთეტიკას უწოდებდა მეცნიერებას მშვენიერების შესახებ. (ნ. ჯაში; 1986).

ვიდრე ესთეტიკის მეცნიერებაზე უფრო ფართოდ ვისაუბრებდეთ საჭიროა მიმოვიხილოთ ის გზა, რომელიც მეცნიერებამ დღევანდელ სახემდე მოსაღწევად გაიარა.

როგორც ყველასათვის ცნობილია, ესთეტიკის, როგორც მეცნიერების საწყისები ანტიკურ ფილოსოფიაშია. კერძოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ესთეტიკის ისტორია სოკრატეს ფილოსოფიური ნააზრევიდან იწყება. თუმცა უნდა ვთქვათ ისიც, რომ ესთეტიკის საკითხები გაცილებით ადრე, პითაგორასა და ჰერაკლიტეს ფილოსოფიაში გაჟღერდა. ესთეტიკის ამოსავალ დებულებას - მშვენიერებას პითაგორა სამყაროს არსებობის მიზეზად მიიჩნევს. ამგვარი გაგება უფრო ფილოსოფიურია ვიდრე ესთეტიკური და სწორედ ამიტომაც ეს პერიოდი ვერ ჩაითვლება ესთეტიკის ისტორიის დასაწყის თარიღად. მას მხოლოდ წინარეისტორიული ხანა შეიძლება ვუწოდოთ. ნამდვილი ისტორია კი მოგვიანებით პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიიდან იწყება. (ბ. წოწონავა; 1974).

დემოკრიტე, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე ის ფილოსოფოსები არიან, რომლებმაც პირველებმა დააყენეს ესთეტიკის ამოსავალი დებულებების საკითხები. ანტიკური ფილოსოფიის დასაწყის საუკუნეებში დემოკრიტემ სოკრატემ და პლატონმა პირველებმა დასვეს ესთეტიკურის არსის პრობლემები, რომლებიც შემდგომში არისტოტელემ განავითარა და სხვა სახე შესძინა.

დემოკრიტე ის ფილოსოფოსია, რომელმაც პირველმა შემოგვთავაზა მშვენიერების, მუსიკისა და მხატვრული შემოქმედების რაობა.

დემოკრიტეს შემდგომ სოკრატემ გააფართოვა ესთეტიკის შინაარსი და მან ხელოვნებასთან უშუალოდ დააკავშირა ადამიანი, მან პირველმა მოგვცა მხატვრული შემოქმედების ანალიზი. მან ერთმანეთისგან გამიჯნა მშვენიერება და მშვენიერი საგანი. სოკრატეს მშვენიერება არ დაჰყავს გარეგნულ მხარეზე, მას მიაჩნია, რომ სხვა საგნებისა და მოვლენებისგან განსხვავებით მშვენიერება იდეაა, რომელიც უცვლელია და მარადიული თავისი ბუნებით. (ბ. წოწონავა; 1974).

ანტიკური ესთეტიკის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, როგორც უკვე აღვნიშნეთ არისტოტელეა, რომელმაც სილამაზის სხვაგვარი გააზრება შემოგვთავაზა. მან ადამიანის სილამაზე მის გარეგნულ მხარეს კიარა შინაგანს დაუკავშირა. მისი

აზრით, სილამაზე ადამიანის სიკეთეში, სამართლიანობასა და მამაცობაში ვლინდება. არისტოტელემ დაუახლოვა ესთეტიკის გაგება გავრცელებულ მოსაზრებას და მანაც ესთეტიკაში შინაგანი გრძნობების სილამაზე და მშვენიერება მოიაზრა. (ო. გიორგაძე; 1997).

ანტიკური ესთეტიკის პერიოდიდან გადავდივართ ნეოპლატონიზმის ეპოქაში. შეიძლება ითქვას, რომ ამ ეპოქის თვალსაჩინო წარმომადგენელმა გააფართოვა სილამაზისა და მშვენიერების იდეა. მისი აზრით, მშვენიერება სულიერ მხარეებში გამოისახება, რომ სხეული არაფერია სულის გარეშე. პლატონი ფიქრობს, რომ ხელოვნება და სილამაზე არაა უბრალოდ მიბაძვა და გარეგანი ფორმა, არამედ იგი საგნისა თუ მოვლენის შინაგან ფორმაში უნდა ვეძიოთ. (ო. გიორგაძე; 1997).

ესთეტიკის ისტორიაში მნიშვნელოვანი პერიოდია რენესანსის ეპოქა. ამ პერიოდის წარმომადგენლებმა (პეტრარკა, ბოკაჩო, ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, შექსპირი..) ყურადღების ცენტრში დააყენეს ამაღლებული გრძნობები - გმირობა, სილამაზე, ადამიანის დამოკიდებულება ხელოვნების მიმართ და თავის მხრივ, ხელოვნების დამოკიდებულება სინამდვილისადმი. აღორძინების პერიოდის ესთტიკაში დადგა საკითხი, რომლის მიხედვითაც ხელოვნება გამოცხადდა სინამდვილის სპეციფიკურ, თავისებური ასახვის ფორმად. (ო. გიორგაძე; 1997).

რაც შეეხება საქართველოს მაგალითს, უნდა ითქვას, რომ მე-11- მე-12 საუკუნეები ქართული რენესანსის ეპოქადაა წოდებული. ერთი მხრივ საზღვარგარეთ არსებული კულტურული ცენტრები ათონისა და პეტრიწონის სახით, სადაც მუდმივად მიმდინარეობდა ლიტერატაურულ-კულტურული მოღვაწეობა და მეორე მხრივ, საქართველოში არსებული ლიტერატურული ცენტრები გელათისა და იყალთოს აკადემიების სახით, მუდმივად ამდიდრებდნენ ქართულ კულტურულ საგანძურს. ესთეტიკური თვალსაზრისით ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია იოანე პეტრიწის, არსენ იყათოელის და ყველაზე უფრო საყურადღებო შოთა რუსთაველის შემოქმედება. უნდა ითქვას, რომ ამ კუთხით *„„ვეფხისტყაოსანი“ მე-12 საუკუნის ესთეტიკურ ენციკლოპედიად შეიძლება მივიჩნიოთ“*[1] ეს იმიტომ, რომ ვეფხისტყაოსანში გადმოცემული ამბავი მთლიანად ესთეტიკურ მოტივებზეა აგებული.

[1] ო. გიორგაძე, განათლების რეფორმა და ესთეტიკური აღზრდა, 1997. გვ 11

განვიხილოთ მე-17 - მე-19 საუკუნეების ქართული ესთეტიკური აზრის ისტორია. უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდის ესთეტიკური აზროვნება წარმოდგენილია ძირითადად სულხან-საბა ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, დავით გურამიშვილის, იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა ფშაველას, ილიას ჭავჭავაძის აკაკი წერეთლისა და სხვათა შემოქმედებითი არეალით.

ესთეტიკური ისტორიისთვის საყურადღებოა ილია ჭავჭავაძის ესთეტიკური დებულებები. იგი მიიჩნევს:

„ხელოვნება არის სინამდვილისა და ჭეშმარიტების მხატვრული ასახვა. ხელოვნების საწყისი ცხოვრებაა, იგი მისი ნაყოფია, მისი იდეების, ინტერესების, მისწრაფებების გამოხატულებაა, მაგრამ მეცნიერებისაგან განსხვავებით, რომელიც ასევე სინამდვილეს ასახავს, ხელოვნება თავისებურად, საკუთარი კანონებითა და წესით, მხატვრულ სახეებსა და ფორმებში ასახავს სინამდვილეს, ცხოვრებას. ხელოვნების მიერ მხატვრული ასახვის კანონებისა და წესების საფუძველს წარმოადგენს მისი სპეციფიკური მიზანი და ფუნქცია.“[2]

პროფესორი თამარ კუკავა წიგნის („ესთეტიკა“) შესავალ ნაწილში სამართლიანად შენიშნავს, რომ ადამიანის სწრაფვისა და ცხოვრების ერთადერთი მიზანი ბედნიერებაა, რომლისკენაც იგი სხვადასხვა გზებითა და ხერხებით მიიწევს. ბედნიერებისაკენ მიმავალი ერთ-ერთი გზა, აღნიშნავს ავტორი, მშვენიერებაა, რომელსაც უდიდესი როლი აკისრია ადამიანის არსებობისათვის.(თ.კუკავა; 1997)

სამეცნიერო ლიტერატურაში მოგვეპოვება ესთეტიკის სხვადასხვაგვარი განმარტება. რომელთაგან მნიშვნელოვანია შემდეგ მეცნიერთა მოსაზრებანი. ეს განმარტებანი მოგვაქვს იმიტომ, რომ აღნიშნულნი დომინირებენ მთელს ესთეტიკურ ლიტერატურაში.

ი.ბორევის განმარტების მიხედვით

„ესთეტიკა არის მეცნიერება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ისტორიულად განპირობებულ არსების, ამ ღირებულებათა შექმნის, აღქმის, შეფასებისა და ათვისების

[2] ო. გიორგაძე, განათლების რეფორმა და ესთეტიკური აღზრდა, 1997. გვ 22

შესახებ. ეს არის ფილოსოფიური მეცნიერება, რომელიც სწავლობს სილამაზის კანონების მიხედვით სამყაროს ათვისების უზოგადეს პრინციპებს ადამიანის საქმიანობაში უპირველესად კი ხელოვნებაში, სადაც სამყაროს ამგვარი ათვისების შედეგები პოულობენ თავის შესატყვის ფორმას, მასალას და აღწევენ უმაღლეს სრულყოფას“ [ო. გიორგაძე 1997: 11]

ევგენი მაიმინიც ესთეტიკას მეცნიერებას უწოდებს და ისიც თვლის რომ ესთეტიკა შეისწავლის ადამიანის მიერ სინამდვილის მხატვრული ათვისებისა და ასახვის კამნონზომიერებებს.

ნიკოლოზ კაიშენკო და ნიკოლოზ ლეიზეროვი შემდეგნაირად ფიქრობენ:

„ესთეტიკა - ეს არის ფილოსოფიური მეცნიერება სინამდვილესა და ხელოვნებაში მშვენიერების, სამყაროს შეცნობისა და სილამაზის კანონების მიხედვით გარდაქმნის თავისებურებების, ხელოვნების, მხატვრული შემოქმედებისა და ესთეტიკური აღზრდის შესახებ“ [ო. გიორგაძე 1997: 24]

ნიკოლოზ ჯაში ამგვარ განმარტებას გვთავაზობს:

„ესთეტიკა არის მეცნიერება ესთეტიკური არსის შესახებ, სამყაროს და ადამიანის ესთეტიკური შემეცნებისა და გარდაქმნის ზოგადი კანონების შესახებ, რომლის საგანი სინამდვილისადმი ადამიანის ესთეტიკური დამოკიდებულების კანონებია“[ო. გიორგაძე 1997: 25]

ნ. ჯაში განმარტებას ასევე გვთავაზობს „ესთეტიკის მოკლე ლექსიკონიდანაც“, რომლის მიხედვით ესთეტიკა არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მშვენიერებას სინამდვილეში, ადამიანის მიერ სამყაროს ესთეტიკური შემეცნების თავისებურებებს და სილამაზის კანონების მიხედვით შემოქმედების საერთო პრინციპებს, მათ შორის ხელოვნების, როგორც სინამდვილის ესთეტიკური ასახვის განსაკუთრებული ფორმის კანონების განვითარებას. (ნ. ჯაში; 1986).

ნ. ჯაში აღნიშნავს, რომ ესთეტიკა არის მეცნიერება ესთეტიკურის არსის შესახებ, რომელიც შეისწავლის ადამიანის ესთეტიკურ დამოკიდებულებას გარესამყაროს

მიმართ. აქვე ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება. კერძოდ იმას, თუ რა მოიაზრება ესთეტიკურის მიღმა. ფართოდ გავრცელებული აზრის მიხედვით, ესთეტიკური შეიძლება იყოს მშვენიერიც და ამაღლებულიც, ტრაგიკულიც და კომიკურიც, საზიზღარიცა და მდაბალიც... ანუ ტერმინის ქვეშ შესაძლოა მოვიაზროთ ყოველივე ის, რაც აღიქმება და ფასდება გრძნობებით. ის, რაც ადამიანის გრძნობისთვის მიუწვდომელია უცხოა ესთეტიკური კატეგორიისთვისაც. უნდა გვახსოვდეს, რომ ესთეტიკური განცდები ის განცდებია, რომლებიც დაკავშირებულია ცხოვრების აზრისა და მნიშვნელობის გააზრებასთან. (ნ. ჯაში; 1986).

ესთეტიკური ობიექტური კატეგორიაა ვინაიდან იგი ადამიანისგან დამოუკიდებლად არსებობს და არ აქვს მნიშვნელობა ცნობენ თუ არა მას ცალკეული ადამიანები. ობიექტურია იმიტომ, რომ *„იგი დამახასიათებელია თვით სინამდვილისთვის, იგი არსებობს მისდამი ჩვენი მიმართების გარეშე, რომ საგნები და მოვლენები მშვენიერია, ანდა მახინჯია თავისთავად“* [ნ. ჯაში 1986: 167]

რა არის ესთეტიკური გემოვნება? ერთი შეხედვით შეიძლება ითქვას, რომ გემოვნება საზოგადოებაში გავრცელებულ იდეალებთან და მასების შეხედულებებთანაა დაკავშირებული, თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ თითოეული ინდივიდი განსხვავებულია და გამოთქმა „გემოვნებაზე არ დაობენ“ ყოველთვის ეჭვის ქვეშ დგას და მასზე ყოველთვის გვიწევს ხოლმე კამათი. გემოვნება არ არის მხოლოდ გარეგანი მხარე და მისი შეფასება, ყველაფრის ფასი შინაგან სიღრმეებში უნდა ვეძიოთ. მაგალითისთვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძალიან ბევრი ადამიანი ხელოვნების ნაწარმოებში გატაცებულნი არიან გარეგანი მხარით - სიუჟეტით და იმას, რაც ნამდვილად ღირებულია მხედველობის მიღმა ტოვებენ. ესთეტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა კი ისაა, რომ განავითაროს იმ ადამიანების გემოვნება და ხედვა, რომლებიც მხოლოდ გარეგნულ მხარეს აქცევენ ყურადღებას. ეს ყოველივე კი იმისთვის, რომ მათ ყველაფერში ღრმა აზრი დაინახონ და შინაარსი სიღრმისეულად გაითავისონ. (ნ. ჯაში; 1986).

ესთეტიკური გემოვნება, შეიძლება ვთქვათ, არის უნარი ემოციურად შეაფასო სინამდვილეში არსებული მოვლენები, ეს უნარი კი მაშინ პოულობს გამოხატულებას,

როდესაც ადამიანს წარმოდგენები უჩნდება მშვენიერსა და მახინჯზე ან თუნდაც ტრაგიკულ-კომიკურზე და ეს ხდება მაშინ, როცა ადამიანი უშუალოდაა რაღაცის მონაწილე. არ შეიძლება გემოვნება გამოვლინდეს მაშინ, როცა სხვის მონათხრობს მოვუსმენთ. გემოვნება ვლინდება ისეთ გარემოში, სადაც გრძნობები უპირატესად მონაწილეობენ. (ნ. ჯაში; 1986).

როდესაც ტერმინებზე ვსაუბრობთ, უნდა განვმარტოთ ესთეტიკური იდეალი, რომლის მიღმაც იგულისხმება წარმოდგენები მშვენიერების უმაღლეს გამოხატულებაზე. იდეალი ეს არის სრულყოფილი სილამაზის მთლიანი სახე, წარმოდგენა სიყვარულის, მეგობრობის თვით ადამიანის სრულყოფაზე. იდეალი ნიშნავს სრულყოფას, როგორც მიზანს, რომლის იდეალი არის ოცნება. იგი უბიძგებს ადამიანს მოღვაწეობისაკენ, არსებობისა და ცხოვრების სურვილს აღძრავს მასში. (ნ. ჯაში; 1986).

ადამიანს სინამდვილის მოვლენებისადმი ესთეტიკური დამოკიდებულება უჩნდება, რომლის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ ადამიანი რაღაცას აღიქვამს როგორც მშვენიერს ან მახინჯს, ამაღლებულს ან მდაბალს, ტრაგიკულს ან კომიკურს. ესთეტიკური განცდა ეს არის ადამიანის უნარი რეაგირება მოახდინოს მოვლენებზე, რომლებიც ობიექტურად შეიცავენ ესთეტიკურს. ამგვარი განცდა დაკავშირებულია ემოციებთან, როგორიცაა სიარული, მწუხარება, აღფრთოვანება, ნაღველი, გაკვირვება, შიში და სხვა. უნდა ითქვას ისიც, რომ ესთეტიკური განცდა თავის მხრივ ადამიანის სუბიექტური დამოკიდებულებაა გარესამყაროში მიმდინარე მოვლენების მიმართ. (ნ. ჯაში; 1986).

როგორც ვნახეთ, ესთეტიკის ისტორია უხსოვარი დროიდან იწყება, ჯერ კიდევ იქედან, როცა ადამიანს გაცნობიერებული არ ჰქონდა მშვენიერისა და სილამაზის არსი. ვნახეთ, რომ ესთეტიკის მრავალგვარი დახასიათება არსებობს, თუმცა ყველა მათგანი თითქმის ერთმანეთის მსგავსია. ყოველი მათგანისთვის ამოსავალი დებულებაა მშვენიერება და მასთან დაკავშირებული საკითხები.

წინამდებარე ნაშრომში ზემოთ აღნიშნული ქვეთავის გამოყოფა მნიშვნელოვანია იმდენად, რომ ესთეტიკის ისტორიასთან, მის ამოსავალ დებულებებთან არის

დაკავშირებული ჩვენთვის მნიშვნელოვანი ესთეტიკური აღზრდის საკითხები, რომლებსაც ესთეტიკის გააზრების გარეშე ვერ განვიხილავდით.

§1.3 ესთეტიკური აღზრდა - რაობა და მნიშვნელობა

წინა ქვეთავში განვიხილეთ ესთეტიკის ძირითადი კანონები და დებულებები, რომლებიც უდიდეს როლს თამაშობენ ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. როგორც ვნახეთ, ესთეტიკას, როგორც მეცნიერებას გარკვეული როლი აკისრია ესთეტიკური აღზრდის ჩამოყალიბების საკითხში. ქვემოთმოცემულ თავში კი განვიხილავთ ესთეტიკური აღზრდის რაობასა და იმ ძირითად პოსტულატებს, რომლებითაც საზრდოობს აღზრდის ეს სახეობა.

ესთეტიკური აღზრდა პედაგოგიკისა და აღზრდის ორგანული ნაწილია, რომლის გარეშეც აღზრდის სხვა შემადგენელი ნაწილები იქნება ეს გონებრივი, ფიზიკური, ზნეობრივი თუ შრომითი აღზრდა სრულფასოვნად ვერ იმუშავებდა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ესთეტიკური აღზრდა ერთგვარი ჰარმონიის დამამყარებელია. იგი დამაკავშირებელი რგოლია, აღზრდის შემადგენელი ნაწილების ერთმანეთთან შემაერთებელია. შეიძლება ითქვას, რომ ვერანაირი გონებრივი სამუშაო ვერ შესრულდება ესთეტიკური დამოკიდებულების გარეშე და თუ შესრულდება ეს მხოლოდ დასწავლა და დაზეპირება იქნება, რომელსაც ინდივიდი ვერ გაიაზრებს. თუ გონებრივი შრომისადმი ესთეტიკური განცდა არ გაგვაჩნია კვლევისა და მუშაობის პროცესი სასიამოვნო ვერ იქნება და შესაბამისად სამუშაოს შედეგიც არასრულფასოვანი გამოვა, იგი ვერ იქნება შემოქმედებითი და ეფექტური.

ესთეტიკური აღზრდის გარეშე მორალური აღზრდაც ვერ განხორციელდება სრულყოფილად, რადგან ის ქცევის წესები და ჩვევები, რომლებიც მორალურმა აღზრდამ უნდა განავითაროს მხოლოდ კანონებად ჩამოყალიბდება და არა გააზრებულ ქმედებად, რომელიც მოქმედების სტიმულს წარმოადგენს.

როგორც ვიცით, არცერთი ნაწილი ესთეტიკური აღზრდის გარეშე არ მუშაობს და ყოველი მათგანის სრულყოფილად მოქმედებას ესთეტიკური განცდა და თვითშეგნება სჭირდება.

ამბობენ, სამყაროში ყველაზე მშვენიერი ის ადამიანია, რომელიც მაღალი ზნეობრივი თვითშეგნებით გამოირჩევა, რომელიც მოქმედებს და ცხოვრობს იმგვარად, რომ ამ მოქმედებით იგი ზიანს არ აყენებს გარშემომყოფთ. მშვენიერი ადამიანი პიროვნებაა, რომელიც კეთილგანწყობილია ადამიანის, ცხოველებისა და ბუნების მიმართ. იცის რა არის მშვენიერი და რა მახანჯი, შეუძლია გაარჩიოს კეთილი და ბოროტი. ადამიანში ადამიანის აღზრდა, მისი პიროვნებად ჩამოყალიბება ესთეტიკური აღზრდის მთავარი მიზანია, მისი ამოცანაა ადამიანს შეუქმნას ესთეტიკური დამოკიდებულებები ზოგადად სამყაროს მიმართ. (პედაგოგიკა; 1994)

ესთეტიკური აღზრდის მეშვეობით მოსწავლეებმა უნდა შეძლონ თავად გამოიმუშაონ ესთეტიკურ შეფასებათა მაღალი კრიტერიუმები. ი.ა. ურუშაძე ფიქრობს, რომ ესთეტიკური აღზრდა ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ მშვენიერების აღქმას. ავტორი აღნიშნავს, რომ ესთეტიკურმა აღზრდამ უნდა უზრუნველყოს მოსწავლეებში მხატვრულ-შემოქმედებითი განვითარება, რაც შემოქმედებით აზროვნებასა დ აქტივობას შეუწყობს ხელს. (ი.ა. ურუშაძე; 1950).

ესთეტიკური აღზრდა ეხმარება ადამიანს შექმნას ესთეტიკური დამოკიდებულება გარესამყაროსა და ზოგადად ცხოვრების მიმართ. აღზრდის ამ ნაწილის მეშვეობით მოსწავლე შეიცნობს ობიექტურად მშვენიერს ცხოვრებაში. ეს კი ეხმარება მას, რომ სწორად დაინახოს მომავალი, ჩამოაყალიბოს ნამდვილი ინტერესები და ამ ინტერესებიდან გამომდინარე დაგეგმოს თავისი მომავალი ცხოვრება. (ი.ა. ურუშაძე; 1950).

ესთეტიკური აღზრდა არის მიზანმიმართული პროცესი, რომლის მიზანია მოსწავლეებში ჩანერგოს ზნეობა, შრომისმოყვარეობა, პატიოსნება, გაუღვივოს მათ სამშობლოსა და ერის სიყვარული. ესთეტიკური აღზრდის მიზანი ინტერესისა და სიყვარულის გაღვივებაა ხელოვნებისადმი და ზოგადად სამყაროსა და ადამიანებისადმი, რაც თავისთავად იწვევს სხვა ერისა და ზოგადსაკაცობრიო

კულტურის დაფასების გრძნობას. ესთეტიკური განცდა განსხვავებული აზრისა და მსოფლმხედველობის მიმღებლობის ერთ-ერთი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც ადამიანს გამოუმუშავდება გრძნობა იმისა, რომ პატივი სცეს სხვის ნებისმიერ საქმიანობას.

ესთეტიკური აღზრდით მოსწავლეს სწორი ემოციური დამოკიდებულებები უყალიბდება სხვადასხვა საკითხის, ნანახისა თუ წაკითხულის მიმართ. სწორი ესთეტიკური აღზრდა საწინდარია იმისა, რომ მოსწავლეებს გამოვუმუშაოთ წარმოსახვის, კრიტიკული აზროვნებისა და თვითგამოხატვის უნარები. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღზრდის ეს სახეობა მოსწავლეებში შემოქმედებითი და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას უწყობს ხელს. ესთეტიკური აღზრდა მოსწავლეს უღვივებს აღმოჩენისა და სიახლის ძიების სურვილს, ეს კი აუცილებელია მოსწავლის მომავალი საქმიანობისთვის.

ესთეტიკური აღზრდის საშუალებით ადრეულ ასაკში მოსწავლეებს უჩნდებათ მშვენიერების გაცნობიერების უნარი, რაც თავის მხრივ იწვევს სილამაზის აღქმასა და განცდას საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ხელოვნების მიმართ. ეს ყოველივე კი ადამიანად ჩამოყალიბების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. (პედაგოგიური ფსიქოლოგია, ნაწ. II, 1965)

დასკვნის სახით, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ესთეტიკური აღზრდა არის ჰარმონიული აღზრდის შემადგენელი ნაწილი, რომელიც გარკვეულწილად უზრუნველყოფს სხვა ელემენტების სწორ მუშაობას. ესთეტიკურ აღზრდას ერთგვარ ჰარმონიაში მოჰყავს აღზრდის შემადგენელი კომპონენტები, რომელთა მიზნები და ამოცანები გარკვეულწილად ებმიან ესთეტიკური აღზრდის მიზნებსა და ამოცანებს.

თავი II- ესთეტიკური აღზრდის ზოგადი საფუძვლები

§2.1 ესთეტიკური აღზრდის პედაგოგიური საფუძვლები

როდესაც ესთეტიკური აღზრდის პედაგოგიური საფუძვლებზე ვსაუბრობთ, ამოვდივართ ესთეტიკური აღზრდის განმარტებიდან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ესთეტიკური აღზრდა პედაგოგიკური პრაქტიკის განუყოფელი ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლის ფორმირების პროცესში რიგი ფასეულობების შეტანას. როგორც მშვენიერის დანახვის შესაძლებლობას, ასევე მახინჯისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. იმისათვის, რომ გავერკვიოთ ესთეტიკური აღზრდის პედაგოგიური საფუძვლების საკითხში, უნდა ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე დებულება.

თუმცა, ვიდრე დებულებებს ვახსენებდეთ, უნდა ითქვას, რომ ესთეტიკური აღზრდა თავისთავად არის პედაგოგიური პროცესის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოწოდებულია იქით, რომ პიროვნება ჰარმონიულად აღზარდოს. ესთეტიკურ აღზრდას, როგორც აღზრდისა და პედაგოგიკის შემადგენელ ერთ-ერთ ნაწილს რამდენიმე თავისებურება ახასიათებს.

პირველ რიგში, უნდა ვთქვათ, რომ ესთეტიკური აღზრდა, როგორც პედაგოგიური პროცესის შემადგენელი ნაწილი, მოწოდებულია იმისათვის, რომ აღსაზრდელს გამოუმუშავოს ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილისა და ხელოვნებისადმი. ესთეტიკური დამოკიდებულება კი ბუნებრივად გამოიწვევს ესთეტიკური შეგრძნების, აღქმისა და განცდის განვითარებას, რაც პედაგოგიური საფუძვლების შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს.

ესთეტიკური აღზრდა, როგორც პედაგოგიკის შემადგენელი ნაწილი მოზარდი თაობის აღზრდას, განათლებასა და სწავლებას ემსახურება, ამ მიზნით ესთეტიკური აღზრდა უზრუნველყოფს აღსაზრდელში ესთეტიკური აზროვნებისა და წარმოსახვის განვითარებას. თუ უფრო ჩავუღრმავდებით საკითხს, უნდა ვთქვათ, რომ ესთეტიკური აღზრდის მიზანია მოზარდს ჩამოუყალიბოს ესთეტიკური მსჯელობის, ანალიზის,

სინთეზის, განზოგადების ჩვევები. ამასთანავე აღზრდის ფუნქციაა აღსაზრდელში წარმოსახვისა და მხატვრული ფანტაზიის განვითარება. (ო. გიორგაძე; 1997).

აღნიშნული თავის დასაწყისში საუბარი გვქონდა პედაგოგიურ საფუძვლებზე, რომელიც ესთეტიკურ აღზრდასთანაა დაკავშირებული. შევეცდებით მოკლედ დავახასიათოთ ესთეტიკური აღზრდის პედაგოგიური საფუძვლების რამდენიმე ძირითადი დებულება.

ო. გიორგაძის ნაშრომში პირველ დებულებად დასახელებულია ის, რომ სინამდვილეში, ჩვენ ირგვლივ ადამიანისგან დამოუკიდებლად არსებობს ესთეტიკური, რომელსაც რეალური სახე აქვს. უნდა განვიხილოთ თუ რა არის ესთეტიკური. ერთი მხრივ, ეს არის გრძნობებში, ურთიერთობებში, თუგინდ გემოვნებასა და ფასეულობებში გამოვლენილი. მეორე მხრივ, კი ესთეტიკური, როგორც კატეგორია, მიზეზია ადამიანის განწყობისა და ემოციებისა.

ესთეტიკური აღზრდის პედაგოგიური საფუძვლების შემდეგი დებულებაა ის, რომ ადამიანს ყოველთვის აქვს უჩვეულო კავშირი ესთეტიკური მოვლენების მიმართ. ადამიანი თითქოს გაუაზრებლად მიილტვის ესთეტიკური საგნებისადმი და მათ მიმართ ესთეტიკური დამოკიდებულება უჩნდება. რას ნიშნავს ესთეტიკური დამოკიდებულება? როგორც ლიტერატურაშია მინიშნებული ესაა ადამიანის სულიერი, ემოციური და ესთეტიკურ-შემფასებლური კავშირი ობიექტთან - იმ სინამდვილესთან, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, თუ ხელოვნებასთან. (ო. გიორგაძე; 1997).

ესთეტიკური აღზრდის პედაგოგიურ საფუძვლად შეიძლება ჩავთვალოთ ისიც, რომ ადამიანს სხვადასხვა საგნების მიმართ ესთეტიკური დამოკიდებულების შედეგად უყალიბდება ესთეტიკური აზროვნება, რაც გამოიხატება იმით, რომ ადამიანი გააზრებულად აფასებს ესთეტიკურ მოვლენებსა და საგნებს. ესთეტიკური აზროვნების მთელი ხიბლი კი ისაა, რომ აზროვნება დროთა განმავლობაში საქმიანობად იქცევა. ადამიანს ჩვევად ჩამოუყალიბდება ის, რომ სამყაროში არსებულ ყველა მოვლენას ესთეტიკური თვალით შეხედოს. სილამაზის კანონებით შეაფასოს იგი. ესთეტიკური აზროვნებით სუბიექტი ესთეტიკურ ურთიერთობას ამყარებს ირგვლივყოფებთან. ეს კი პრაქტიკული მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს, ვინაიდან,

სხვებთან ჭეშმარიტი ურთიერთობების შედეგად იბადება სხვა ახალი საღი აზრი, რომელიც რაღაც ახლის დააბამია. ეს ახალი კი აუცილებლად ესთეტიკური ღირებულებისაა, რომელსაც თავისებურად ძალა ექნება იმისა რომ გამოიწვიოს ესთეტიკური განცდა, ესთეტიკური ზემოქმედება მოახდინოს მნახველზე. ეს ყოველივე მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამგვარი გარემო შექმნის პირობას იმისას, რომ ცხოვრებასა და ურთიერთობებს ესთეტიკური თვალით შევხედოთ. ეს კი, ბუნებრივია გაგვიმარტივებს რთულ გზას და შესაძლებლობას მოგვცემს ლამაზ ფერებში დავინახოთ მახინჯიც კი. (ო. გიორგაძე; 1997).

§2.2 ესთეტიკური აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები

ნებისმიერი სახის აღზრდის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მოსწავლეთა ფსიქიკურ მიმდინარეობას. აუცილებელია შევისწავლოთ და გავითვალისწინოთ აღსაზრდელის ფსიქიკური მდგომარეობა და მხოლოდ ამის შემდგომ დავდეგმოთ ნებისმიერი საქმიანობა. ამ მხრივ გამონაკლისს არც ესთეტიკური აღზრდა წარმოადგენს. ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ვიდრე ესთეტიკური აღზრდის პროცესს დავიწყებდეთ საჭიროა ფიზიკურ გარემოსთან ერთად შევისწავლოთ პიროვნების ესთეტიკური ფორმირების ფსიქოლოგიური კანონები და მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყოთ რთული პროცესი.

როდესაც ესთეტიკური აღზრდის ფსიქოლოგიურ საფუძვლებზე ვმსჯელობთ, საუბარი უნდა დავიწყოთ ტერმინთა განმარტებით. როგორც ვიცით, ადამიანი სამყაროში არსებულს ესთეტიკურად უყურებს და ეს გამოიხატება მისი შეგრძნებებით. რომ არა შეგრძნება ადამიანი ცხადია ვერ აღიქვამდა ტრაგიკულსა და კომიკურს, მშვენიერსა და მახინჯს, იგი ვერ შეაფასებდა ესთეტიკურ საგანთა ერთობლიობას. შეგრძნება მატერიალური საგნებისა თუ მოვლენების ის ძალაა, რომელიც სხვადასხვა ფორმით, თვისებითაა და ნიშნებით ზემოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე.

შეგრძნებების ფორმირებისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ხელოვნების დარგებს, რომლებიც თავისთავად იწვევენ სხვადასხვა სახის შეგრძნებებს.

მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიხმოთ მუსიკა, რომელიც ავითარებს სმენასა და სმენით შეგძნებებს. ხატვა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მოსწავლეებში განვავითაროთ ფერის, ფორმის, პროპორციისა და სივრცის შეგრძნებები და აღნიშნულ შეგრძნებებთან ერთად ასევე განვავითაროთ მხატვრული ხედვის უნარები. ცეკვის დროს მოსწავლეებში ვითარდება ისეთი სახის უნარები, როგორიცაა მოხდენილობის, მოძრაობის სილამაზის შეგრძნებები და სხვა. (ო. გიორგაძე; 1997).

ესთეტიკურ შეგრძნებებს უკავშირდება ისეთი ცნებები, როგორიცაა ესთეტიკური აღქმა, ესთეტიკური მსჯელობა, ანალიზი, სინთეზი, შეფასება და სხვა.

ვიდრე აღნიშნულის დახასიათებას დავიწყებთ საჭიროა განვმარტოთ ცნების არსი. უნდა ითქვას, რომ ცნება არის ლოგიკური აზროვნების ის ფორმა, რომელიც ობიექტურ სინამდვილეს განზოგადებულად ასახავს. ცნებების სახით გვევლინება ესთეტიკაში ლამაზი-ულამაზო, არაჩვეულებრივი, სრულყოფილი, ჰარმონიული, მოხდენილი, სატირულ-იუმორისტული და სხვა. ცნებების სახით გვხვდება ესთეტიკაში მშვენიერების, ამაღლებულის, ტრაგიკულ-კომიკურის, მახინჯისა და მდაბალის კატეგორიები, რომელთაც ესთეტიკურ თვითშეგნებაში დიდი როლი ენიჭება.

ზოგადფსიქოლოგიური გაგებით, აღქმა არის *„რეცეპტორებზე მოქმედ საგანთა ან მათი თვისებების თვასაჩინო, ხატოვანი ასახვა, რომელსაც ახასიათებს - საგნობრიობა (სუბიექტისგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტის განცდა), კატეგორიალობა (ობიექტის, როგორც ერთიან საგანთა გარკვეული სახეობის აღქმა), სტრუქტურული მთლიანობა (აღქმა არის არა ცალკეულ შეგრძნებათა ჯამი, არამედ გარკვეული სტრუქტურის მქონე მთლიანობა), კონსტანტობა (გარკვეულ ფარგლებში საგნის აღქმის უცვლელობა), პიროვნული ხასიათი (აღქმა რეცეპტორებზე მოქმედი კონკრეტული ობიექტის ან მათი თვისებების ხატოვან ასახვასთან ერთად არის კონკრეტული ადამიანის ფსიქოლოგიური მოქმედებაც)“* (ო. გიორგაძე 1997: 62).

როდესაც ესთეტიკური აღზრდის ზოგადფსიქოლოგიურ საფუძვლებზე ვიწყებთ საუბარს უნდა ვახსენოთ შემეცნებითი პროცესი აზროვნება, რომლის საშუალებითაც ინდივიდი სინამდვილეს შეიმეცნებს. აღქმისაგან განსხვავებით, რომელიც პირველადი

შემეცნების წყაროა, აზროვნება მეორეულად გადააფასებს მოვლენებს. აზროვნების საშუალებით თითქოს ანალიზი უკეთდება აღქმულს, გადამუშავდება იგი და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება პიროვნების მიერ მოცემულის შემეცნება.

ესთეტიკური აზროვნება, ისევე როგორც აზროვნების სხვა სახეები ინტელექტუალურია, თუმცა სხვა სახეებისგან განსხვავებით ესთეტიკური აზროვნების ბუნება მიმართულია იქით, რომ სამყაროში არსებული ყოველი მოვლენა თუ საგანი ესთეტიკურად შეიმეცნოს. ესთეტიკური შემეცნება ორი მიმართულებით შეიძლება განვიხილოთ:

- ესთეტიკურად შევიმეცნოთ ის ობიექტები, რომლებიც რეალურ სამყაროში ჩვენ ირგვლივ არსებობენ.
- ესთეტიკური თვალით შევხედოთ ესთეტიკურ ფასეულობებსა და ხელოვნების ნიმუშებს.

მხატვრული აღზრდა-განათლების გზა სწორად ვერ წარიმართება თუ ინდივიდს არ ჩამოუყალიბდა ესთეტიკური აზროვნება, რომლის საშუალებითაც იგი შეძლებს ესთეტიკური დამოკიდებულებების შექმნას სხვადასხვა მოვლენებისა თუ საგნების მიმართ. (ო. გიორგაძე; 1997).

აქვე უნდა განვიხილოთ აზროვნების ძირითადი ფორმები - ცნება, მსჯელობა, დასკვნა-შეფასება. ცნებებზე დასაწყისში უკვე ვისაუბრეთ ამიტომ აქ მსჯელობასა და დასკვნა-შეფასებას განვიხილავთ. თუ ზოგადფსიქოლოგიურ განმარტებას მოვიშველიებთ მსჯელობა აზროვნების ის ფორმაა, როდესაც ხდება გარკვეული სახის მტკიცება ან უარყოფა საგნებისა და მოვლენების გარკვეულ ნიშან-თვისებათა მიმართ. მსჯელობა თავის მხრივ ერთმანეთთან დაკავშირებული ცნებებისაგან შედგება, რომელთა შორის ლოგიკური კავშირი არსებობს. ესთეტიკური მსჯელობა არის არა მარტო უბრალო შეფასება სხვადასხვა საგნისა, არამედ, ესთეტიკური მსჯელობით ადამიანი გამოხატავს სუბიექტურ დამოკიდებულებას და საკუთარი შეხედულებებისამებრ აფასებს სინამდვილესა და ხელოვნების ნიმუშებს. ესთეტიკური მსჯელობის თვისებურება ისაა, რომ სუბიექტის რეაქცია გამოწვეულია არა მარტო

საგნის ესთეტიკური ბუნებით, არამედ თავად სუბიექტის ემოციური მდგომარეობითა და გემოვნებით. (ო. გიორგაძე; 1997).

დასკვნა ეს არის სხვადასხვა მსჯელობათა ანალიზის შედეგი, რომელიც სამი სახის შეიძლება იყოს.

- ინდუქცია, მსჯელობა კერძოდან ზოგადისკენ
- დედუქცია, მსჯელობა ზოგადიდან კერძოსკენ
- ანალოგია, ერთი კონკრეტული მოვლენიდან გამომდინარე მეორე ანალოგიური დასკვნის მიღება.

ესთეტიკური შეფასების დროს რომელიმე ობიექტში განისაზღვრება ესთეტიკური ღირებულებები სუბიექტის დამოკიდებულებების შესაბამისად. ამ დროს ინდივიდი თავად განსაზღვრავს თუ რომელ ესთეტიკურ კატეგორიას მიაკუთვნოს ესა თუ ის საგანი თუ მოვლენა. (ო. გიორგაძე; 1997).

აზროვნებაზე საუბრისას უნდა ვახსენოთ აზროვნების ოპერაციებიც - ანალიზი, სინთეზი, შედარება, განზოგადება, აბსტრაქცია, კონკრეტიზაცია, რომლებიც ყველა ერთად წარმოადგენენ ესთეტიკური აღზრდის ზოგადფსიქოლოგიურ საფუძვლებს.

ანალიზი - აზროვნების ოპერაცია, როდესაც რაღაც ერთი მთლიანი იყოფა ნაწილებად, ნიშნებად ან თვისებებად. ესთეტიკური თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, ანალიზის დროს მთელში გამოეყოფა ესთეტიკური ფასეულობები.

სინთეზი - ანალიზის საპირისპიროა. თუ ანალიზის დროს მთლიანიდან გამოიყოფა ესთეტიკური ნიშან-თვისებები, სინთეზის დროს კი პირიქით ერთმანეთს უკავშირდება სხვადასხვა ნიშანი, რომლებიც შემდგომში ქმნიან ერთ მთლიან ესთეტიკურ ღირებულებას. უნდა ითქვას, რომ ესთეტიკურ აზროვნებაში ანალიზსა და სინთეზს განსაკუთრებული როლი აკისრიათ, რომლებიც ერთმანეთთან განუყოფელადაა დაკავშირებული და ისინი ორივე ემსახურება იმას, რომ ესა თუ ის მოვლენა, საგანი თუ ფაქტი ესთეტიკური თვალსაზრისით შეაფასოს.

შედარება აზროვნების ის იპერაციაა, როდესაც ორ საგანს შორის მსავსებას ან განსხვავებას ადგენენ. ესთეტიკური თვალსაზრისით შედარების დროს გამოყოფენ ორი საგნიდან რომელი უფრო ლამაზია, ან მახინჯია. რომელს აქვს უფრო ტრაგიკული ხასიათი მეორესთან შედარებით და ასე შემდეგ. ამ თვალსაზრისით, შედარება გვაძლევს საშუალებას იმისას, რომ საგნებიდან გამოვყოთ ესთეტიკური ნიშან-თვისებები, შევაფასოთ ისინი ესთეტიკური თვალსაზრისით და მოცემულიდან ავარჩიოთ ჩვენთვის სასურველი და მისაღები. (ო. გიორგაძე; 1997).

აზროვნების ერთ-ერთი ოპერაცია, რომელიც ესთეტიკური აღზრდის ზოგადფსიქოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს, განზოგადებაა. განზოგადების დროს საგნებიდან და მოვლენებიდან გამოიყოფა საერთო ნიშან-თვისებები, რომლებიც შემდგომში ერთ ჯგუფში ერთიანდებიან. ესთეტიკაში განზოგადებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ესთეტიკური განზოგადების საშუალებით მიიღწევა ის, რომ ერთმანეთისგან განსხვავებულ საგნებში აღმოვაჩინოთ მშვენიერი, ამაღლებული, მახინჯი და კატეგორიების მიხედვით დავაჯგუფოთ ისინი.

აზროვნების ოპერაციებიდან უნდა დავასახელოთ აბსტრაქცია, რომლის დროსაც სუბიექტი ობიექტიდან გამოჰყოფს კონკრეტულ ნიშან-თვისებას და გაიაზრებს მას განყენებულად, სხვა ნიშან-თვისებებისგან დამოუკიდებლად. გამოყოფილ თვისებას კი შემდგომში ადამიანი ცნებად, თეორიადა თუ მოდელად გარდაქმნის, რომელიც მოგვიანებით დამოუკიდებელ ღირებულებად იქცევა.

აბსტრაქციისა და განზოგადების საპირისპირო ოპერაციაა კონკრეტიზაცია. თუ განზოგადებისა და აბსტრაქციის დროს სუბიექტი საგნიდან რაიმე კონკრეტულს გამოჰყოფდა და მას აფასებდა, როგორც ცალკე მდგომს, კონკრეტიზაციის დროს ერთი ნიშანი რაღაცით აუცილებლად უნდა დაუკავშირდეს ზოგადს, ანუ იმ მთლიანს, რომლისგან გამოყოფასაც ვცდილობდით. ესთეტიკური თვალსაზრისით, კონკრეტიზაცია არის დამაკავშირებელი რგოლი განზოგადებულ საგანსა და მთლიანს შორის. მას შემდეგ რაც, გამოყოფილ ნიშანსა და მთლიანს შორის ხიდი აღდგება ხდება შეფასება, რომლის დროსაც სუბიექტი ივსება ესთეტიკური განცდებით. (ო. გიორგაძე; 1997).

ესთეტიკური აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლებიდან აუცილებლად უნდა დავასახელოთ წარმოსახვა და წარმოსახვის ერთ-ერთი ფორმა - ფანტაზია, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ ესთეტიკურ აზროვნებაში.

წარმოსახვა არის ფსიქიკური პროცესი, რომელიც მიმართულია იქით, რომ ადამიანმა შექმნას ახალი იდეა, ახალი წარმოდგენა. წარმოდგენის დროს ადამიანი სინამდვილისგან განსხვავებულ მოვლენას წარმოიდენს, მაგრამ ეს წარმოდგენა ყოველთვის კავშირშია ობიექტურ რეალობასთან.

შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის ახალი სახეების შექმნის პროცესია ფანტაზია, რომელიც საჭიროა ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, ვინაიდან შემოქმედობითობა და ფანტაზიის უნარი ყველა საქმიანობისთვის წარმმართველ ფაქტორს წარმოადგენს. ფანტაზია ძალიან მნიშვნელოვანია ესთეტიკურ-მხატვრული შემოქმედების პროცესში. საზოგადოების კულტურული დონის ამაღლებისათვის იქმნება ხელოვნების ნიმუშები და სხვადასხვა ესთეტიკური ღირებულების მქონე ნივთები, საგნები თუ ზოგადად კულტურა. ყოველივე ამის შექმნისთვის კი ფანტაზიას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. ფანტაზიის კვალი ყველაზე უკეთ მხატვრულ შემოქმედებას ამჩნევია. მხატვრული შემოქმედების თითოეულ შტრიხში ავტორისეული ფანტაზიის კვალი შეიმჩნევა გამოგონილი მხატვრული ფორმების, საგნების, მოვლენების ან თუნდაც მოქმედი პერსონაჟების სახით.

ესთეტიკური აღზრდის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ მოსწავლეებს ყოველდღიურად მივაწოდოთ მდიდარი მხატვრული შემოქმედების ნიმუშები, ვინაიდან მხატვრულ სახეებში ასახული ესთეტიკურ-მხატვრული ფასეულობები მოსწავლეებს სწორ შეხედულებებს განუვითარებს სხვადასხვა საკითხის მიმართ. თავიდანვე სწორად ჩამოყალიბებული დამოკიდებულებებით და სწორად მიწოდებული მასალით მოსწავლეები შეძლებენ დააგროვონ ესთეტიკური გამოცდილება და თავიანთი საქმიანობაც შემდგომში ესთეტიკური აღზრდის პრინციპების მიხედვით განახორციელონ. (ო. გიორგაძე; 1997).

ამრიგად, უნდა ითქვას, რომ პიროვნების ფორმირების პროცესში და როგორც ვნახეთ ესთეტიკური აღზრდის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ფსიქოლოგიურ საფუძვლებს, ვინაიდან მათი გათვალისწინების გარეშე რთული

იქნებოდა სწორი ესთეტიკური გრძნობებისა და შეხედულებების ფორმირება. ესთეტიკური ფასეულობების ჩანერგვა და მათი განვითარება კი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ჰარმონიული აღზრდის პროცესში.

§2.3 ესთეტიკური აღზრდის ზოგადი პრინციპები

ესთეტიკური აღზრდა, ისევე როგორც აღზრდის შემადგენელი სხვა სახეები უნდა წარიმართოს იმგვარად, რომ მივაღწიოთ უზოგადეს და უმნიშვნელოვანეს მიზანს, რასაც პიროვნების ჰარმონიულად ჩამოყალიბება ჰქვია. იმისათვის, რომ ნებისმიერი პროცესი, ამ შემთხვევაში კი ესთეტიკური აღზრდის პროცესი სრულყოფილად წარვმართოთ საჭიროა გარკვეული პრინციპების გათვალისწინება.

პედაგოგიურ ლიტერატურაში შემუშავებულია ესთეტიკური აღზრდის სპეციფიკური პრინციპები, რომელთა გათვალისწინების გარეშეც აღზრდის პროცესი სრულფასოვნად ვერ წარიმართება.

ესთეტიკური აღზრდის, როგორც პედაგოგიური პროცესის, პრინციპებიდან უნდა დავასახელოთ საყოველთაოობის პრინციპი, რაც გულისხმობს იმას, რომ პროცესი ყველა ბავშვისთვის ერთნაირ პირობებში უნდა მიმდინარეობდეს და ყველა ბავშვში აუცილებლად უნდა ჩავნერგოთ ესთეტიკური ფასეულობები.

შემდეგი პრინციპი, რომელსაც ოთარ გიორგაძე ნაშრომში „განათლების რეფორმა და ესთეტიკური აღზრდა“ ასახელებს არის რაციონალური და ემოციური საწყისების ერთიანობის პრინციპი, რომლის მიზანია მოზარდში განავითაროს მეხსიერება, აღქმა, ყურადღება, აზროვნება, წარმოსახვა. ამ პრინციპის ხსენებისას ავტორი განმარტავს ტერმინებს რაციონალურსა და ემოციურს.

რაციონალურს განმარტავენ, როგორც გონივრულს, დასაბუთებულს, მიზანშეწონილს. რაციონალურია შეგვიძლია ვთქვათ მაგალითად იმ შემთხვევაში, როცა ობიექტის გარეგანი და შინაგანი მხარეები ერთმანეთთან ჰარმონიულ დამოკიდებულებაში არიან, ანუ ფორმა და შინაარსის კავშირი ლოგიკურია, გონივრული და დასაბუთებულია, თუ მათ შორის არსებობს კანონზომიერება.

ემოცია კი არის ადამიანის რეაქცია გარესამყაროს, სინამდვილის მიმართ. ადამიანი მუდმივად აკვირდება სამყაროში არსებულ მოვლენებს, ცდილობს საკუთარი აზრის დაფიქსირებას ამა თუ იმ მოვლენისა თუ საგნის მიმართ და ამ პროცესში უნებლიეთ ემოცია ერთვება. ადამიანს ბუნებრივად უჩნდება განცდა, რომელიც გამოწვეულია ობიექტის ბუნებით. ესთეტიკური აღზრდის ერთი მთავარი მიზანი ხომ ისაა რომ ადამიანს ჩამოუყალიბდეს სწორი ემოციური დამოკიდებულება ობიექტისადმი. სწორად გაიაზროს მისი ბუნება და ადეკვატურად შეაფასოს იგი. (ო. გიორგაძე; 1997).

ესთეტიკური აღზრდის ზოგადი პრინციპებიდან ასახელებენ ეთიკურისა და ესთეტიკურის ერთიანობის პრინციპს, რომელშიც რამდენიმე ძირითად კონცეფციას განიხილავენ.

პირველი კონცეფციის მიხედვით, ეთიკის საგანს მორალი წარმოადგენს. მორალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ის ფორმაა, რომელიც არეგულირებს ადამიანთა ქცევას, საქმიანობასა და ურთიერთობას. მორალი ასე ვთქვათ, უნივერსალური კატეგორიაა, რომელიც ყველა ადამიანისთვისაა ხელმისაწვდომი. მისი საშუალებით ადამიანი თავის ქმედებას აკონტროლებს, ცდილობს სწორად წარმართოს საკუთარი ცხოვრების გზა.

მეორე კონცეფცია განიხილავს იმას, რომ ესთეტიკური აზროვნება აღმოცენდა ფილოსოფიური აზროვნების ჩასახვასთან ერთად. ესთეტიკას, როგორც ფილოსოფიურ მოძღვრებას და შემდგომში მეცნიერებას ხანგრძლივი ისტორია აქვს და მისი ფესვები ანტიკურ ფილოსოფიაშია. მართალია ესთეტიკა არ ყოფილა მეცნიერების სახით, მაგრამ მისი კონცეფცია ყოველთვის მიმართული იყო მშვენიერების დანახვისაკენ.

ერთ-ერთი კონცეფციის მიხედვით, ესთეტიკა არის ფილოსოფიური მეცნიერება, რომლის კვლევის საგანია სამყაროში არსებული მრავალფეროვანი ესთეტიკური მოვლენები, რომლებიც თავიანთი სახით მეტად სპეციფიკური ხასიათისაა. ამავე კონცეფციის მიხედვით, ესთეტიკა შეისწავლის ადამიანის დამოკიდებულებას და მის ემოციურ შეფასებას გარესამყაროს მიმართ. ასევე შეისწავლის ადამიანის ესთეტიკურ-მხატვრულ შემოქმედებას, როგორც ესთეტიკური აზროვნების ნაყოფს.

ყველაზე უკეთ ეთიკურისა და ესთეტიკურის ერთიანობის პრინციპი ესთეტიკის კატეგორიებში ვლინდება, ვინაიდან ყველა მათგანში ვხვდებით როგორც ეთიკურ, ასევე ესთეტიკურ საწყისებს. ასე მაგალითად, სათნო, სასიამოვნო, საჭირო, ღვთისნიერი, ჰარმონიული - ეთიკური ცნებებია, ხოლო აღმატებული, მიმზიდველი, დამატკბობელი, აღმატებული კი ესთეტიკური, აღნიშნულთა ერთიანობა კი ქმნის მშვენიერის კატეგორიას ესთეტიკაში. ასევეა სხვა კატეგორიების შემთხვევაშიც, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ესთეტიკური აღზრდა უნდა მიმდინარეობდეს ეთიკურისა და ესთეტიკურის ერთიანობის პრინციპზე, ვინაიდან აღნიშნულნი ავსებენ ერთმანეთს. (ო. გიორგაძე; 1997).

ესთეტიკური აღზრდა უნდა ემყარებოდეს აღსაზრდელის ნიჭის, ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინების პრინციპს. აღნიშნულის გათვალისწინება მნიშვნელოვანია იმდენად, რომ სრულფასოვნად წარიმართოს სასწავლო პროცესი. გაკვეთილის ხარისხს და შესაბამისად შედეგს მივაღწევთ იმ შემთხვევაში თუ პროცესში ჩაერთვება ისეთი სახის აქტივობები, რომლებიც მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისი იქნება. და ბოლოს, უნდა ვთქვათ, რომ ამ გზით წარმართული მუშაობის პროცესი ბევრად უფრო სახალისო და ნაყოფიერი იქნება.

დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპები, რომლებსაც ემყარება ესთეტიკური აღზრდა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროცესის წარმართვისას. აღნიშნულთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იქნება აღზრდის რთული პროცესის სრულყოფილად და ხარისხიანად წარმართვა. აუცილებელია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ჩართული იყოს აღნიშნული პრინციპები, რათა მივაღწიოთ სასურველ შედეგსა და მიზანს.

თავი III - ესთეტიკური აღზრდის საკითხები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში

§3.1 ესთეტიკური აღზრდა სკოლაში - საგანმანათლებლო პოლიტიკის დოკუმენტების მიმოხილვა

როდესაც სკოლაში ესთეტიკური აღზრდის საკითხებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გავაკეთოთ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული დოკუმენტების ანალიზი, ვნახოთ თუ რა პოლიტიკას ატარებს სახელმწიფო აღნიშნული საგნების სწავლების პროცესში.

საგანმანათლებლო პოლიტიკას თვალს თუ გადავავლებთ ვნახავთ, რომ ესთეტიკური აღზრდის სწავლების საკითხი არც ისე სახარბიელო მდგომარეობაშია. განათლების პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში „საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ“ მხოლოდ გაკვრითაა ნახსენები ესთეტიკური აღზრდა. კანონის პირველი თავის მესამე მუხლში გაწერილია ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები, აღნიშნულიდან ესთეტიკური აღზრდის ამოცანებს შესაძლოა მივაკუთვნოთ რამდენიმე:

„მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა“ [ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, 2007, თავი I, მუხლი 3]

„ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა“

[ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები 2007, თავი I, მუხლი 3]

აღნიშნული დოკუმენტის განხილვის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები ნაკლებ ყურადღებას ამახვილებს ესთეტიკური აღზრდის ამოცანებზე და მის სრულყოფილად განხორციელებაზე. თუმცა კი ესთეტიკური აღზრდის ფუნქციები, მიზნები და ამოცანები გაწერილია ზოგადი

განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტზე დაყრდნობით შექმნილ ეროვნულ სასწავლო გეგმაში.

ეროვნული სასწავლო გეგმის IX თავის 52-ე მუხლის მიხედვით, ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი საგნები:

- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, რომელიც ისწავლება სავალდებულო სახით დაწყებით და საბაზო საფეხურზე (I-IX კლასებში), ხოლო არჩევითია საშუალო საფეხურზე
- მუსიკა, რომელიც ასევე სავალდებულო სახით ისწავლება საბაზო საფეხურის ჩათვლით (I-IX კლასებში), ხოლო ხელოვნების მსგავსად არჩევითია საშუალო საფეხურზე.

ეროვნული სასწავლო გეგმის XVIII თავის 77-ე მუხლის შესავალ ნაწილში ხაზგასმულია ესთეტიკური აღზრდის მნიშვნელობა. დოკუმენტის მიხედვით, ესთეტიკური აღზრდის მიზანია პიროვნების ჰარმონიული განვითარება, რაც მიიღწევა მისი ხელოვნებასთან ზიარებით. დოკუმენტში აღნიშნულია მუსიკისა და ხელოვნების როლი პიროვნების ფორმირების საკითხში. კერძოდ, ამავე თავის შესავალ ნაწილში ვკითხულობთ, რომ აღნიშნული საგნების შესწავლამ მოსწავლეს უნდა განუვითაროს უნარი იმისა, რომ აღიქვან მშვენიერება და სწორად შეაფასონ იგი. (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018)

წარმოსახვის ფორმირება, შემოქმედებითი უნარების ჩამოყალიბება, კრიტიკული აზროვნების უნარის ფორმირება, სიახლეების ძიების უნარისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ჩამოყალიბება, ცხოვრებაში მიმდინარე გამოწვევებისთვის მომზადება, - ეს ის ძირითადი მიზნებია, რომლებსაც ეროვნული სასწავლო გეგმა ესთეტიკური აღზრდის საგნებს აკისრებს. (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018)

ესთეტიკური აღზრდის მიზანია სკოლაში შეიქმნას ის გარემო, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება ხელოვნებასთან ზიარებაში. ეროვნული სასწავლო გეგმა ესთეტიკური აღზრდის ჯგუფში გაერთიანებული საგნებიდან მოითხოვს იმას, რომ მოსწავლეებს შეასწავლონ ხელოვნების უნივერსალური ენა, რომლის საშუალებითაც ისინი გაეცნობიან და შეითვისებენ ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია პიროვნების ჰარმონიულ განვითარებაში.

დოკუმენტი მუსიკა-ხელოვნებისგან მოითხოვს იმას, რომ მოსწავლეებს ამ საგნების სწავლების შემდეგ განუვითარდეთ ხელოვნების ნიმუშების აღქმის და მათი შეფასების უნარები. ასევე სწავლების მიზანია მოსწავლეებმა შეძლონ ხელოვნების ნიმუშების შექმნა. (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018)

ეროვნულ სასწავლო გეგმაში ასევე გაწერილია ესთეტიკური აღზრდის სწავლების შემდეგი მიზნები:

- *ინტერესისა და სიყვარულის გაღვივება ხელოვნებისადმი;*
- *სამყაროს ერთიანობის განცდის ჩამოყალიბება;*
- *ეროვნული, სხვა ერისა და ზოგადსაკაცობრიო კულტურის დაფასების, განსხვავებული აზრისა და მსოფლმხედველობის, ადამიანის შრომის მიმართ პატივისცემის გრძნობის გამომუშავება;*
- *გარემოს ესთეტიკური აღქმის, მშვენიერების განცდისა და მხატვრული გემოვნების განვითარება;*
- *შემოქმედებით-ასოციაციური აზროვნებისა და ემოციური სფეროს განვითარება;*
- *წარმოსახვის, კრიტიკული აზროვნების, თვითგამოხატვის, შემოქმედებითი და საკომუნიკაციო უნარების განვითარება. ესთეტიკური აღზრდის სწავლების ამოცანებია:*
- *ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებთან ზიარება;*
- *ხელოვნების უნივერსალური ენის შესწავლა;*
- *მოსწავლის ჩაბმა შემოქმედებით და საინტერპრეტაციო საქმიანობაში;*
- *ხელოვნების ნიმუშის/ნაწარმოების აღქმის უნარის ჩამოყალიბება;*
- *მსჯელობისა და წარდგენის უნარის გამომუშავება;*
- *სამუშაო გარემოს მოწესრიგებისა და მოვლის, შრომითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება;*
- *შემოქმედებითი საქმიანობის ტექნიკურ საშუალებათა დაუფლება;*
- *ხედვის, სივრცითი წარმოდგენების, დაკვირვების უნარის, მხედველობითი მეხსიერებისა და ხელის მოტორიკის განვითარება;*
- *მუსიკის მოსმენის ჩვევის გამომუშავება;*
- *მუსიკალური სმენისა და მეხსიერების, რიტმის გრძნობის, პლასტიკისა და კოორდინაციის განვითარება;*
- *მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ენის (მათ შორის, მუსიკალური დამწერლობის) შესწავლა.* [ეროვნული სასწავლო გეგმა 2018: თავი XVIII, მუხლი 77]

როგორც ვნახეთ, ეროვნული სასწავლო გეგმა არის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც რეალიზდება ესთეტიკური აღზრდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილების სახით. ეროვნულ სასწავლო გეგმაში ასევე გაწერილია საგნობრივი პროგრამები, საათობრივი დატვირთვა და სტანდარტები, რომელთა მიხედვითაც მიმდინარეობს ან უნდა მიმდინარეობდეს სასწავლო პროცესი სკოლაში. აღნიშნული დოკუმენტის შესწავლა და ძირითადი მიზნებისა და ამოცანების მოტანა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მიზანმიმართულად ვიკვლიოთ ჩვენი ნაშრომის მთავარი საკითხი.

§3.2 მუსიკისა და ხელოვნების გაკვეთილების აღმზრდელობითი ფუნქცია

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ესთეტიკური აღზრდის შემადგენელი ნაწილების მუსიკისა და ხელოვნების სწავლებას უდიდესი როლი ეკისრებათ მოსწავლეთა ჩამოყალიბების პროცესში. ამ ქვეთავში კი უფრო კონკრეტულად განვიხილავთ იმ მოთხოვნებსა და ფუნქციებს, რომლებსაც სამეცნიერო ლიტერატურა ამ საგნების სწავლებას აკისრებს.

ხელოვნება საზოგადოებრივი ცნობიერების ის ფორმაა, რომელსაც განსაკუთრებული სპეციფიკური ნიშნები გააჩნია. ხელოვნება ადამიანის მიერ სინამდვილის სულიერი განცდისა და ასახვის თავისებური სახეა, რომლის მიზანი სამყაროს გარდაქმნაა სილამაზის კანონების მიხედვით. მართებულად შენიშნავს ოთარ გიორგაძე, რომ ხელოვნება არის ის სახე, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანის მიერ გარემოს აღქმის თავისებურებებს. ავტორის აზრით, ხელოვნების მიზანი ობიექტური სამყაროს მოვლენებისა და ფაქტების ესთეტიკური აღქმაა. (ო. გიორგაძე; 1997).

„ხელოვნება სინამდვილის ან იდეების ანარეკლია“ - მიიჩნევს აკაკი გელოვანი და ფიქრობს, რომ სინამდვილის ასახვა ისეთი საშუალებებითაა შესაძლებელი, რომელიც შეიძლება რომ დავინახოთ, მოვისმინოთ ან შევეხოთ. [ო. გიორგაძე 1997: 3]

ო. გიორგაძე საუბრობს ხელოვნების დანიშნულებაზე და ამბობს, რომ იგი დიდად მოქმედებს ადამიანის შინაგან სამყაროზე მის გრძნობებზე, გონებასა და ნებისყოფაზე. ხელოვნების წყალობით ადამიანში შეიძლება გავაღვიძოთ და შემდგომ განვავითაროთ სინამდვილისადმი, რეალური სამყაროსადმი შემოქმედებითი და ესთეტიკურ-მხატვრული დამოკიდებულება. (ო. გიორგაძე; 1997).

სახვითი ხელოვნების ნიმუშები, რომელი სახისაც არ უნდა იყოს იგი, მოსწავლეს ავსებს ესთეტიკური ემოციებითა და გრძნობებით. ხელოვნების ნაწარმოებებს უდიდესი ძალა აქვთ იმისათვის, რომ მოსწავლეებს ჩაუნერგონ ხელოვნებისადმი სიყვარული, რაც თავის მხრივ, ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბების ერთ-ერთი საუკეთესო გზაა. ხელოვნებისადმი სიყვარული და სწორი ემოციური შეფასების უნარი გარკვეულწილად მოსწავლის ზნეობრივ აღზრდასაც იწვევს.

მოსწავლეთა ესთეტიკური გრძნობების გაღვივებისათვის მნიშვნელოვანი საშუალებაა ხატვა, ვინაიდან ხატვის დროს მოსწავლე აღიქვამს დასახატ ობიექტს და ცდილობს გადმოსცეს გარკვეული იდეა და შინაარსი. (ემ. გოგინავა; 1955 გვ.49-50).

ხატვის მნიშვნელობაზე საუბრობს იაკობ გოგებაშვილი, იგი მიიჩნევს, რომ ხატვის მიზანი ის კი არ არის რომ მხატვარი აღვზარდოთ, არამედ იგი ესთეტიკური აღზრდის ამოცანებს ემსახურება. ხატვის ძირითადი მიზანი არის ის, რომ მოსწავლეში აღმოვაჩინოთ და განვავითაროთ შემოქმედებითი უნარები. მწერლის აზრით, ხატვა აქტიურადაა მიბმული ბუნებასთან, აქედან გამომდინარე, ხატვის დროს მოსწავლე უშუალო კავშირს ამყარებს გარესამყაროსთან, აკვირდება მას და იღებს უამრავ შთაბეჭდილებას. ბუნებაში გასული სილამაზით ტკბება, ეს ტკბობა კი, რასაკვირველია, ესთეტიკურ გრძნობებს აღძრავს მასში.

იმას, რომ იაკობ გოგებაშვილისთვის ხატვას დიდი ძალა აქვს, ამტკიცებს მისი დედაენა და საბავშვო საკითხავი ლიტერატურა. დედაენა ხომ სწორედ ნახატებით იწყება. მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია დასურათებული ლიტერატურა, რადგან მისი აზრით, ამ დროს ბავშვის გონება ივსება სხვადასხვა შთაბეჭდილებებითა და ემოციებით, რომლებიც, თავის მხრივ, დადებითად განაწყობს ბავშვის გონებას და შესასწავლ მასალასაც უფრო პოზიტიური თვალით უყურებს. (ვ. ასათიანი; 1990)

ი. გოგებაშვილისთვის ესთეტიკური აღზრდის ამოცანები მიიღწევა სუბიექტის ბუნებათან ზიარებითა და საზოგადოებასთან ინტეგრაციით. მისთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ სამყარო მხოლოდ გონებით კიარ გაიაზროს, არამედ გრძნობითაც. მან მხოლოდ ზედაპირულად კიარ უნდა შეიმეცნოს სამყარო, არამედ ესთეტიკური თვალით უნდა შეხედოს მას. მწერლისთვის ესთეტიკური აღზრდა გრძნობისა და გონების, ემოციების ერთიანობაა. ეს კი მიიღწევა მაშინ, როდესაც ბავშვი მუდმივ კონტაქტს ამყარებს ბუნებასთან. ხელოვნებასთან ზიარება, ხატვის პროცესი ზნეობრივად გვამაღლებს, რაც ადამიანად ჩამოყალიბებაში გვეხმარება. ესთეტიკური აღზრდის მიზანი, ამ შემთხვევაში ხელოვნების სწავლების მიზანი სრულყოფილი, მშვენიერი ადამიანის აღზრდაა, რომელიც ესთეტიკური გრძნობებით იქნება გამსჭვალული ადამიანებისადმი, სამყაროსადმი და ბუნებისადმი. (ნ. ზოდელავა; 1966).

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის ამოცანების განხორციელებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ეთმობა სიმღერა-მუსიკის სწავლებას. სიმღერის სწავლებაში კი მოიაზრება.

1. სიმღერის შესწავლა (ანუ გუნდური მღერა)
2. მუსიკალური ანბანი (ანუ მუსიკის თეორია)
3. მუსიკის მოსმენა (მუსიკალური ლიტერატურა).

მუსიკის მოსმენაში იგულისხმება ერთი მხრივ, ნაწარმოების შესრულება და მისი გარჩევა-ანალიზი, რასაც ჩვენ ახსნა-განმარტებას ვეძახით და მეორე მხრივ, აქ მოვიაზრებთ მუსიკალური ნაწარმოების აღქმასა და მისი შინაარსის გაგებას. (ესთეტიკური აღზრდის საკითხები სკოლაში, 1963. კრ.1).

მუსიკის სწავლების მიზანი ესთეტიკური აღზრდაა, რაც გულისხმობს ბავშვებში ხელოვნების სიყვარულის დანერგვასა და უნარს ესთეტიკურად აღიქვან ხელოვნების ნიმუშები. მუსიკის სწავლების დანიშნულებაა იმ შთაბეჭდილებებისა და დამოკიდებულებების სწორად გადმოცემა და ჩამოყალიბება, რომელიც ნანახი სურათისა თუ მოსმენილი მუსიკის შემდეგ მოსწავლეებს უჩნდებათ.

მუსიკის სწავლების შინაარსი ძალიან ფართოა, რომელთა შორის განსაკუთრებული როლი მშვენიერების განცდისა და დანახვის უნარის ფორმირებას უკავშირდება, მიიჩნევს ჯ. ბესურაშვილი და ნაშრომში „მუსიკის აღქმის ჩამოყალიბება მუსიკის მოსმენის დროს (III-IV კლასები)“ ამბობს, რომ მშვენიერების გათავისება და გააზრება აკეთილშობილებს ადამიანს, ზნეობრიობასა და სწორად მოქცევას ასწავლის. შესაძლოა ითქვას, რომ მუსიკის სწავლების ერთ-ერთი დანიშნულებაა ფაქიზი გახადოს ბავშვის სულიერი სამყარო. მუსიკის გაკვეთილებზე, ამბობს ჯ. ბესურაშვილი, თითქოს იხსნება ახალი სამყარო, რომელსაც ავტორი ბგერების სამყაროს უწოდებს. ეს სამყარო ბავშვებს თითქოს აძლევს საშუალებას იმისას, რომ დაინახონ და განიცადონ ისეთი მუსიკალურ-მხატვრული სახეები, რომლებიც აქამდე თითქმის უცხო იყო მათთვის.

მუსიკის სწავლებას მხოლოდ გარკვეული მასალის გადაცემის დანიშნულება როდი აქვს, მას აღმზრდელობითი ფუნქცია უნდა დაეკისროს და ამ რთული პროცესის ფარგლებში უნდა მიმდინარეობდეს პიროვნების ესთეტიკური აღზრდა. მთელი პედაგოგიური პროცესი კი უნდა ემსახურებოდეს, პირველ რიგში, ხელოვნებისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების გამომუშავებას, ეს კი მოსწავლეებს უბიძგებს იქონიონ დადებითი ემოციები სამყაროში მიმდინარე სხვადასხვა საკითხების მიმართ. (ესთეტიკური აღზრდის საკითხები სკოლაში, 1963. კრ.1).

მუსიკალური რიტმის, რითმისა და ინტონაციის მნიშვნელობაზე საუბრობს ო. გიორაძე. იგი ფიქრობს, რომ აღნიშნულთა წყალობით ჰარმონია მიიღწევა. ეს ჰარმონია კი ადამიანის სულის სიღრმეებში აღწევს და სილამაზის აღქმას იწვევს. [ო. გიორგაძე; 1997).

შეჯამების სახით, წაროვადგენთ აღნიშნულ ქვეთავში მიმოხილულ მასალას. უნდა ითქვას, რომ ეს იყო ის მცირე პოსტულატები მონახაზის სახით, რომლებიც ესთეტიკური აღზრდის შემადგენელი ნაწილებია. მუსიკისა და ხელოვნების დანიშნულებისა და მათი როლის სწორად გააზრების გარეშე შეუძლებელია სასწავლო პროცესის ადეკვატურად და მიზნების შესაბამისად წარმართვა. გამომდინარე აქედან, ძალზე მნიშვნელოვანია სასწავლო გარემოში, ესთეტიკური აღზრდის საგნების ბუნების გააზრება და პრაქტიკაში მათი გათვალისწინება.

§3.3 ესთეტიკური აღზრდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო პროცესში

ადამიანის აღზრდა მისი მუცელქმნილობიდან უნდა დაიწყოს, რომელიც დაბადებიდანვე აქტიურ ფაზაში შედის და ბავშვი უამრავი უნარ-ჩვევით ივსება. ამ კუთხით გადამწყვეტ როლს იმ ოჯახს აკისრებენ, სადაც ბავშვი იბადება, იზრდება და მიმდინარეობს მისი აღზრდა. გარკვეულ ასაკს მიღწეული ბავშვი სკოლის გარემოს განუყოფელი ნაწილი ხდება, ეზიარება მის კულტურასა და წესებს, აქედან კი ოჯახი დიდ პასუხისმგებლობას სკოლას უნაწილდებს და სასკოლო გარემო ერთიანი ძალებით ებმის აღზრდა-განათლების ურთულეს პროცესში.

ესთეტიკური აღზრდის მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციის მთავარი ადგილი სკოლაა, სადაც მიმდინარეობს ეს მეტად რთული და საპასუხისმგებლო პროცესი. სკოლაში აღზრდა-სწავლების პედაგოგიური პროცესი ორი ნიშნის გათვალისწინებით მიმდინარეობს. პირველი ეს არის სასწავლო-შემეცნებითი კომპონენტი, რომელიც საკლასო-საგაკვეთილო მუშაობასთან ერთად მოიცავს არასასწავლო დროის ორგანიზებას იმგვარად, რომ წარიმართოს სასწავლო-შემეცნებითი აქტივობები. ხოლო, მეორე მხრივ, პედაგოგიური პროცესი მოიცავს აღმზრდელობით-განმავითარებელ მუშაობას, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს სკოლისგარეშე მუშაობის პროცესში განხორციელებულ აღმზრდელობით ღონისძიებათა სისტემას. ამ ორი ძირითადი კომპონენტის გათვალისწინების შედეგად იქმნება პედაგოგიური პროცესი, რომელშიც აქტიურ როლს თამაშობს ესთეტიკური აღზრდა. (ო. გიორგაძე; 1997).

ესთეტიკური აღზრდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამჭოლი კომპეტენციაა, რაც ნიშნავს იმას, რომ მისი ელემენტები ცხოვრების ყველა სფეროში იგრძნობა. ესთეტიკაა გარემო, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ესთეტიკაა ირგვლივ ყველაფერი, რასაც ვხედავთ და ვისმენთ. ესთეტიკაა ჩაცმულობაც, რომელზეც სხვადასხვა აზრის გამოთქმა შეგვიძლია. როგორც ვნახეთ, სამართლებრივი დოკუმენტების მიხედვით, ესთეტიკური აღზრდა სკოლაში ორ საგანს მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებას მოიცავს, თუმცა

კი მისი სწავლების შინაარსი ყველა საგნის სწავლებაშია ჩადებული. ესთეტიკური აღზრდის ფუნქცია არამარტო მუსიკასა და ხელოვნებას, არამედ ყველა საგნობრივ ჯგუფს აკისრია, თუმცა, ამჯერად ჩვენი კვლევის საგანია სკოლაში მუსიკისა და ხელოვნების სწავლების პროცესი. ვიდრე აღნიშნულის შესახებ ვისაუბრებდეთ, განვიხილავთ ესთეტიკური აღზრდის ელემენტებს სხვადასხვა საგნის სწავლებისას.

ერთი შეხედვით შეიძლება თქვან, რომ მაგალითად საგნები (მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, ისტორია...), რომელთა ძირითადი მიზანი სამყაროს თეორიულ-მეცნიერული შემეცნებაა არ შეიცავენ ესთეტიკურ ელემენტებს, მაგრამ ეს ასე როდია. მწყობრი ლოგიკურობა, მსჯელობის დახვეწილობა, ფაქტების თანმიმდევრულობა სხვა არაფერია თუ არა ესთეტიკა. უფრო ზუსტად განვიხილოთ ესთეტიკური აღზრდის გავლენა სხვადასხვა დისციპლინაზე.

როგორც ვიცით მათემატიკისა და ფიზიკის სწავლება ეფუძნება რიცხვის, კანონისა და სივრცეში განლაგებული მოცულობით ფორმათა ზუსტ აღნიშვნას. ამ პროცესში რიცხვთა მწყობრი ერთიანობა, რომელიც რაღაც კანონებს ემორჩილება, სივრცეში განლაგებულ სხეულთა გაცნობიერებული განლაგება, ლოგიკური კავშირების დაჭერა მოსწავლეებს ეხმარება მშვენიერების იდეის გაგებაში. გეომეტრიის კურსი მოსწავლეებს თავისთავად უვითარებს პროპორციულობისა და სიმეტრიულობის გაგების უნარს. მათემატიკური აზროვნების ჩამოყალიბება, რომელიც გარკვეულწილად ფანტაზიასთან და წარმოსახვასთან არის დაკავშირებული, რა თქმა უნდა, ესთეტიკური აღზრდაა. მათემატიკური აზროვნების ჩამოყალიბება და ლოგიკური მსჯელობის უნარის ფორმირება საწინდარია იმისა, რომ შეიქმნას ბევრად უფრო ღირებული როგორც ტექნიკური, ასევე მხატვრული შემოქმედების კუთხით. (ო. გიორგაძე; 1997).

საბუნებისმეტყველო საგნების (ქიმია, ბიოლოგია) სწავლების საკითხს ესთეტიკური აღზრდის კუთხით თუ შევხედავთ, ვნახავთ, რომ აქაც იგრძნობა ესთეტიკის კვალი. ძირითადად ეს გამოწვეულია ბუნების სილამაზით და ბუნებში მიმდინარე მრავალფეროვანი მოვლენებით. ბუნებაში უამრავი ისეთი ფორმაა, რომელიც ადამიანში იწვევს სილამაზისა და მშვენიერების განცდას. ბუნებრივი მოვლენები წვიმა, წყლის დინება, ღრუბელთა განლაგება, ზღვის ტალღების მუდმივი

მოძრაობა სილამაზის შეგრძნებას იწვევს ადამიანში. ფლორა და ფაუნა სამყაროს ისეთი ნაწილებია, სადაც უამრავს ვნახავთ ისეთს, რომელსაც ესთეტიკას დავუკავშირებთ, რომელიც მშვენიერებისა და სილამაზის აღქმას გვასწავლის.

ისტორიის სწავლების სპეციფიკა ესთეტიკური აღზრდის მიზნებზეა აგებული. ისტორიის სასწავლო მასალას თვალს თუ გადავავლებთ ვნახავთ, რომ თემატიკა გვაძლევს საშუალებას იმისას, რომ ქრონოლოგიურ ჭრილში გავეცნოთ კაცობრიობის მიერ მოპოვებულ და შექმნილ მატერიალურ თუ სულიერ კულტურას. კულტურასთან ზიარება და მისი ფასეულობების გათავისება კი, როგორც ვიცით, ესთეტიკური აღზრდის ერთი ამოცანაა.

ესთეტიკური აღზრდის მონაწილეობის გარეშე სრულყოფილად ვერ წარიმართება ფიზიკური აღზრდა სკოლაში. როგორც ვიცით, მოზარდი ფიზიკურ სრულყოფას და დასახულ მიზანს აღწევს მაშინ, როცა მისი ვარჯიში სისტემატიურად, გეგმაზომიერად მიმდინარეობს. თუ მოსწავლეს გაცნობიერებული აქვს, რომ ფიზიკური სილამაზე, იქნება ეს ტანადობა, მოქნილობა, დახვეწილობა, მოხდენილობა და სხვა, ჯანმრთელი ორგანიზმის საწინდარია, იგი ყოველთვის მოინდომებს და მისი ვარჯიშიც ყოველდღიურ აუცილებელ საქმიანობად იქცევა. სწორი ფიზიკური აქტივობით ჯანმრთელ სხეულსა და სულს მივიღებთ. ჯანმრთელი სხეული კი თავისებურად სილამაზესთან ასოცირდებდა.

როდესაც სასწავლო დისციპლინებში ესთეტიკური აღზრდის გავლენაზე ვსაუბრობთ აუცილებლად უნდა ვახსენოთ სასწავლო დისციპლინა ლიტერატურა. აღნიშნულ საგანში მრავლადაა ესთეტიკური აღზრდის ელემენტები, რომელთაც უდიდეს როლს ვაკისრებთ სწავლის პროცესში. მეტყველების კულტურა სხვა არაფერია თუ არა ესთეტიკა, გამართულად მსჯელობის, აზრის ჩამოყალიბებისა და მისი გადმოცემის უნარის ფორმირება ლიტერატურაში ესთეტიკაა. ესთეტიკაა ტექსტის სწორად გააზრება და ლიტერატურული კრიტიკა. ესთეტიკური აღზრდაა მხატვრულ ტექსტში პერსონაჟთა დახასიათება, მათი ქმნედებებიდან ლამაზისა და მახინჯის გამოყოფა, რაც მოსწავლეს მსჯელობასა და შეფასებას ასწავლის. (ო. გიორგაძე; 1997).

როგორც ვნახეთ, ესთეტიკური აღზრდის ამოცანები თითქმის ყველა საგნის სწავლებაშია ჩადებული და ეს აუცილებელიცაა, ვინაიდან მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა ჰარმონიული აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია და მნიშვნელოვანია მისი სრულფასოვნად განხორციელება.

როგორც ვიცით, ესთეტიკური აღზრდის ამოცანები ორი ფორმით წარიმართება, ეს არის სასწავლო აღმზრდელობითი მეცადინეობები, ანუ ის რასაც გაკვეთილს ვეძახით და ასევე კლასგარეშე აქტივობები. ორივე მათგანი ძალიან დიდ როლს თამაშობს ესთეტიკური აღზრდის ამოცანების განხორციელების მიმართულებით. მნიშვნელოვანი მოსაზრებებია გამოთქმული იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი საფეხურიდან უნდა დაიწყოს ესთეტიკური აღზრდის საგანთა სწავლება. ყველა თანხმდება იმაში, რომ ესთეტიკური აღზრდა დაწყებითი საფეხურიდან უნდა დაიწყოს და გაგრძელდეს საშუალო საფეხურის ჩათვლით, მაგრამ ეს თეორიულად, პრაქტიკულად, ვნახავთ, რომ საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის საგანთა სწავლება არჩევითია და არა სავალდებულო ხასიათის.

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა დაწყებით კლასებში უნდა დაიწყოს, ვინაიდან დაწყებით სკოლაში ბავშვები ღებულობენ იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც დროთა განმავლობაში ვითარდებიან. დაწყებით კლასებში ესთეტიკური აღზრდა ყველა საგნის სწავლებაშია ჩადებული. ყოველი სასწავლო დისციპლინა, თავის მხრივ ესთეტიკურის ფუნქციას ატარებს და ბავშვებისთვის მშვენიერის სწავლების მიზანს ატარებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს ის, რომ ესთეტიკური აღზრდის ფუნქცია დაწყებით სკოლაში, ისევე როგორც მაღალ საფეხურებზე მუსიკისა და ხელოვნების გაკვეთილებს ეკისრებათ. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ არანაკლები როლი დაწყებით საფეხურზე მშობლიური ენის გაკვეთილებს ენიჭებათ, ვინაიდან სწორედ მშობლიური ენის სწავლებით იწყება მოსწავლის ჩამოყალიბება და სხვადასხვა უნარებით შეიარაღება. სამართლიანად შენიშნავს მშობლიური ენის როლის მნიშვნელობაზე თ.კანდელაკი და დასძენს, რომ ესთეტიკური აღზრდის ამოცანები აქ მშობლიური ენის სწავლების მოთხოვნებს უნდა დავუკავშიროთ. (თ.კანდელაკი; 1963).

ავტორი აღნიშნავს, რომ ესთეტიკური აღზრდის წარმართვა მშობლიური ენის გაკვეთილებზე ძირითადად კითხვის, თხრობისა და წერის ჩვევების გამომუშავების პროცესში მიმდინარეობს, ვინაიდან სწორედ კითხვა და თხრობა განაპირობებს მხატვრული ნაწარმოების სწორად გაგების ერთ-ერთ ყველაზე მარტივ გზას. კითხვისა და თხრობის პროცესი კი, თავის მხრივ განაპირობებს ბავშვის ფანტაზიას, ემოციისა და წარმოდგენის განვითარებას. (თ.კანდელაკი; 1963).

ავტორი მშობლიური ენის გაკვეთილებზე ესთეტიკური აღზრდის ამოცანების განხორციელების ვარიანტებს დაწყებითი სკოლის სხვადასხვა კლასში შემდეგნაირად წარმოგვიდგენს:

- ავტორის აზრით, პირველ კლასში კითხვისა და წერის ჩვევების გამომუშავება და მეტყველების განვითარებაზე ზრუნვა ესთეტიკური აღზრდის საწყისი ეტაპებია, რომელთა გავლის გარეშე მოსწავლე მაღალ იდეალებს ვერ დაეუფლება.
- მეორე კლასიდან ესთეტიკური აღზრდის განხორციელებისათვის კითხვა-წერის ჩვევების გამომუშავებას ემატება კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა და წიგნის სიყვარულის გაღვივება პატარებში.
- მესამე კლასიდან, ავტორის თქმით, სასურველია ბავშვს მივაწოდოთ ლიტერატურასთან ერთად ჟურნალ-გაზეთები. ეს იმისთვის, რომ მან შედარება მოახდინოს ორ მასალას შორის და გააკეთოს არჩევანი.

თ. კანდელაკი მიიჩნევს, რომ დაწყებით საფეხურზე ყველა ზემოთ აღნიშნული ღონისძიება ემსახურება მოსწავლეებში კითხვის ჩვევების გამომუშავებას, რასაც იქამდე მივყავართ, რომ მოსწავლემ თავად შეძლოს წაკითხულიდან მხატვრული სახეების ამოცნობა და მისთვის იდეალურის შერჩევა, რომელსაც შემდგომში რეალურ ცხოვრებაში გადაიტანს. (თ.კანდელაკი; 1963).

ავტორი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მხატვრულ ნაწარმოებს, მხატვრულ სიტყვას. იგი მიიჩნევს, რომ მხატვრული ხერხები ბავშვის ინტელექტუალური განვითარების საქმეში მონაწილეობენ. მხატვრული ნაწარმოების გარჩევისა და გაგების როლი დიდია, ვინაიდან მას დიდი წვლილი შეაქვს ბავშვის მიერ ცხოვრებისეული

ფაქტების გაგებაში, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა მოვლენის სწორად გაანალიზების შესაძლებლობას (თ.კანდელაკი; 1963).

თ. კანდელაკის აზრით, სკოლაში ესთეტიკური აღზრდის მიზანი მშვენიერების გაგების სწავლება და მისი გადატანაა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ავტორის თქმით, ესთეტიკურმა აღზრდამ უნდა განუვითაროს მოსწავლეს ესთეტიკური გემოვნება და შემოქმედებითი უნარები, მანვე უნდა აღზარდოს და გამოავლინოს ტალანტები. კანდელაკი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მხატვრულ ლიტერატურას. მისი აზრით, აღნიშნული ლიტერატურის მეშვეობით მოსწავლეებს უგროვდებათ გარკვეული შთაბეჭდილებები, რომლებიც შემდგომში ლიტერატურის სიყვარულს იწვევენ (თ.კანდელაკი; 1963).

ავტორი შენიშნავს, რომ ესთეტიკური აღზრდის განხორციელება უნდა დავიწყოთ გრძნობათა აღქმით. იგი აღნიშნავს, რომ ბავშვმა ლამაზი თვითონ უნდა აღიქვას და მან მასწავლებლის მიწოდებული ინფორმაციიდან თავად უნდა განსაზღვროს რა არის ლამაზი და მშვენიერი, ამასთანავე ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ დანახული მშვენიერება გადაიტანოს რეალურ ცხოვრებაში, ლამაზი დაინახოს ბუნებასა და საზოგადოებაში, სხვებთან ურთიერთობისას. (თ.კანდელაკი; 1963).

ძალიან ბევრი მეცნიერი იზიარებს იმ აზრს, რომ ესთეტიკური აღზრდა ძალიან მნიშვნელოვანია დაწყებით საფეხურზე. ყველა ერთხმად აღიარებს, რომ სწორედ დაწყებით საფეხურზე იწყება მოსწავლეებში ესთეტიკური იდეალების ფორმირების პროცესი, რომელიც შემდეგ საფეხურებზე იღებს დასრულებულ სახეს.

თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლება სამივე საფეხურზე ძალიან მნიშვნელოვანია და კარგი იქნება თუ საგნების სწავლება სკოლის სამივე საფეხურზე სავალდებულო ხასიათს მიიღებს და საკითხის სწავლებას უფრო მეტ ყურადღებას მივაქცევთ.

თავი IV- უცხო ქვეყნის გამოცდილება: ესთეტიკური აღზრდის საკითხები ესტონეთის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით

ესტონეთის საგანმანათლებლო სისტემაში, ისევე როგორც ქართულ ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოიყოფა საგნობრივი ჯგუფები, რომელთაგან ერთ-ერთი ესთეტიკური აღზრდაა. ესტონეთში დიდი ადგილი ეთმობა ესთეტიკური აღზრდის ამოცანებსა და ესთეტიკური აღზრდის საგანთა სწავლებას და ეს სასწავლო კურუკულუმებსაც ეტყობა. როგორც საქართველოში ესტონეთშიც ესთეტიკური აღზრდის საგანთა ჯგუფში ერთიანდება მუსიკა და ხელოვნება, რომელთა სწავლების მიზანია განუვითარონ მოსწავლეებს ასაკის შესაფერისი ხელოვნების კომპეტენციები. (https://www.hm.ee/sites/default/files/est_basic_school_nat_cur_2014_appendix_6_final.pdf.)

საქართველოსაგან განსხვავებით ესტონეთში ესთეტიკური აღზრდის საგნები ისწავლება სამივე საფეხურზე, უფრო მეტი საათობრივი დატვირთვით. პირველ საფეხურზე ხელოვნებას ეთმობა 4 ან 5 საათი კვირაში, ხოლო მუსიკას 6. სწავლების მეორე საფეხურზე სამი საათი ხელოვნებას ეთმობა, ხოლო ოთხი - მუსიკას. რაც შეეხება საათების გადანაწილებას მესამე საფეხურზე, აქაც ხელოვნებასა და მუსიკას თანაბარი სამ-სამი საათი ეთმობა.

ესთეტიკური აღზრდის საგანთა სწავლების მიზნებია მოსწავლეებს განუვითარონ ის უნარები, რომლებითაც ისინი შეძლებენ გაიგონ და გაიაზრონ ხელოვნების მრავალფეროვნება, შეაფასონ ხელოვნების მემკვიდრეობა არამარტო ესტონეთში, არამედ მთელ მსოფლიოში, გამოყონ ხელოვნების ნიმუშები და შეძლონ შედარებითი ანალიზის გაკეთება. ხელოვნებისა და მუსიკის სწავლების ამოცანათა შორის გამოიყოფა მოსწავლეებში იმ უნარების ფორმირება, რომელთა საშუალებითაც მოსწავლეები დაინახავენ ურთიერთობებს წარსულ და თანამედროვე კულტურებს შორის. შეძლებენ პირად შემოქმედებით საქმიანობასა და სხვებთან ურთიერთიბისას გამოიყენონ ის მასალა, ხელოვნების ტერმინები თუ მუსიკალური გამონათქვამები, რომლებსაც სასწავლო პროცესის განმავლობაში დაეუფლნენ მოსწავლეები.

ესთეტიკური აღზრდის ამოცანებია:

- მოსწავლემ შეიძინოს შემოქმედებითი საქმინაობის უნარები და შეძლოს თვითგამოხატვის სხვადასხვა საშუალებების გამოყენება. ასევე სწავლების მიზანია მოსწავლემ შეძლოს საზოგადოებასთან მეგობრული ურთიერთობების დამყარება და პოზიტიური სამუშაო გარემოს შექმნა.
- მოსწავლემ გამართულად ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი და შეძლონ საკუთარი ემოციების გადმოცემა ხელოვნების ნიმუშებისა და ხერხების საშუალებით.
- მოსწავლეებში სხვისი პატივისცემის გრძნობის ფორმირება, მოსწავლემ უნდა დააფასოს და სწორად შეაფასოს შემოქმედებითი აზროვნება. მან თავისუფლად უნდა შეძლოს მონაწილეობა მიიღოს ჯგუფურ სამუშაოებსა და აქტივობებში.
- დააფასოს კულტურული ტრადიციები არამარტო საკუთარი ქვეყნის, არამედ მსოფლიო მასშტაბით.
- მოსწავლემ პატივი უნდა სცეს ესტონეთში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების კულტურას, ვალდებულია დაიცვას იგი და გაუფრთხილდეს. ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლების შემდეგ მოსწავლე შეძლებს დაინახოს კავშირი ხელოვნებას, კულტურას, მეცნიერებასა და ტექნოლოგიებს შორის.

(https://www.hm.ee/sites/default/files/est_basic_school_nat_cur_2014_appendix_6_final.pdf.)

ესთეტიკური აღზრდის საგნები სკოლაში მიზანმიმართულია იქით, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ თვითგამოხატვისა და შემოქმედებითი საქმიანობის უნარები. ასევე აღსანიშნავია, რომ ესთეტიკური აღზრდის მიზანთაგან ყურადღებას ამახვილებენ კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე, რაც მიიღწევა ხელოვნების ნიმუშების შექმნით, ინტერპრეტაციითა და ანალიზით.

ესტონეთის სასწავლო გეგმაში ასევე ვკითხულობთ, რომ ესთეტიკური აღზრდა უვითარებს მოსწავლეებს სხარტ აზროვნებასა და გახსნილ გონებას, რაც საწინდარია

იმისა, რომ მოსწავლემ სწრაფად და მარტივად შეძლოს სხვადასხვა სიძნელეებთან გამკლავება ცვალებად მულტიკულტურულ მსოფლიოში.

ესთეტიკური აღზრდის საგნები აქცენტს აკეთებენ კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობასა და კულტურულ სივრცეზე, როგორც მათი იდენტობის შემადგენელ მნიშვნელოვან ელემენტზე. სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში ესთეტიკური აღზრდის კუთხით სკოლებში ხშირად იმართება ხელოვნების ნიმუშების გამოფენები და ხელოვნების საღამოები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეებში ესთეტიკური ფასეულობების ფორმირებას. პრაქტიკული აქტივობები ძალზე ნიშვნელოვანია, ვინაიდან მოსწავლეები სწავლობენ, რომ ხელოვნება და მუსიკა თვითგამოხატვის საუკეთესო საშუალებაა. ამგვარ კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა კი ხელს უწყობს მოსწავლეებში კულტურული ერთობის გრძნობის ფორმირებას.

ესტონეთის ეროვნულ სასწავლო გეგმაში ასევე მითითებულია, რომ ესთეტიკური აღზრდის საგნები მოსწავლეებს საკუთარი თავის შეცნობაში ეხმარებიან. საგნების სწავლების შემდგომ მოსწავლეები თავს წარმოიდგენენ, როგორც გარემოს ნაწილებად და მათ შემქმნელებად. გამომყენებლის როლში საკუთარი თავების წარმოდგენა კი ერთ-ერთი პირობაა იმისა, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ კულტურული გარემოს მოფრთხილება, პატივისცემა და მის შექმნა-განახლებაში მონაწილეობის მიღება.

საქართველოსგან განსხვავებით, ესტონეთის განათლების სისტემა, ხაზს უსვამს ესთეტიკური აღზრდის მონაწილეობაზე სხვადასხვა კომპეტენციის დაუფლებისას. დოკუმენტში ჩამოთვლილია ის კომპეტენციები, რომელთა დაუფლებაც შესაძლებელია ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლებით. ეს კომპეტენციებია: კულტურული ფასეულობების კომპეტენცია, სოციალური და მოქალაქეობრივი, საკუთარი თავის შეცნობის, სწავლის სწავლის, კომუნიკაციისა და სხვა კომპეტენციები. აღნიშნულ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლებისას განხორციელებული ის ძირითადი აქტივობები, რომელთა შესრულებითაც მოსწავლემ შეიძლება მიაღწიოს დასახელებულ კომპეტენციებს.

(https://www.hm.ee/sites/default/files/est_basic_school_nat_cur_2014_appendix_6_final.pdf.)

თუ ერთმანეთს შევადარებთ საქართველოსა და ესტონეთის პოლიტიკას ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლების მიმართ, დავინახავთ, რომ მათ შორის არის განსხვავება. მართალია, ეროვნულ სასწავლო გეგმებში ორივეგან მითითებულია ესთეტიკური აღზრდის ამოცანები და მიზნები, მაგრამ ესტონეთში აღნიშნული საკითხი ბევრად უფრო მწყობრად და მოწესრიგებულადაა ჩამოყალიბებული. აღნიშნულში მკაფიოდაა დასმული საკითხები, რომლებიც ხაზს უსვამენ ესთეტიკური აღზრდის მნიშვნელობაზე. ესტონეთის სახელმწიფო პოლიტიკის სწორი არჩევანია კომპეტენციების ჩამოყალიბება, რომლებსაც მოსწავლემ უნდა მიაღწიოს ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლის შემდეგ სხვადასხვა მასალითა და აქტივობებში მონაწილეობით.

კვლევითი ნაწილი

კვლევის ზოგადი აღწერა

აღნიშნული ნაშრომი ეხება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მუსიკისა და ხელოვნების გაკვეთილების პრაქტიკის კვლევას. კერძოდ, ჩვენი მიზანია, დავადგინოთ სრულდება თუ არა ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი ის მიზნები და ამოცანები, რომლებსაც დოკუმენტი მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებას აკისრებს. ზოგადად რომ ვთქვათ, ნაშრომი ეხება იმის დადგენას თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი ესთეტიკური აღზრდის საგნებში, ვინ ასწავლიან ამ საგნეებს, როგორ ასწავლიან, რა მეთოდებით ასწავლიან და როგორია მოსწავლეთა შეფასება აღნიშნულთან დაკავშირებით. თვისებრივი კვლევის მეთოდით კვლევა ჩავატარეთ თბილისის საჯარო სკოლებში, კერძოდ, ჩაღრმავებული ინტერვიუს სახით შემთხვევითი შერჩევითი მეთოდით გამოვკითხეთ თბილისის საჯარო სკოლების მუსიკისა და ხელოვნების 20 მასწავლებელი, რათა დაგვედგინა ის, თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი საჯარო სკოლების დაწყებით და საბაზო საფეხურზე. მასწავლებლის პასუხების ლეგიტიმაციის მიზნით, იმისათვის, რომ კვლევის შედეგები უფრო ზუსტი, უფრო სწორად მეტად სანდო ყოფილიყო რაოდენობრივი კვლევის მეთოდით, კერძოდ ონლაინ კითხვარის საშუალებით, ასევე გამოვკითხეთ ამავე სკოლებიდან საბაზო საფეხურის 150 მოსწავლე.

კვლევის დიზაინი და მეთოდი

ნაშრომში კვლევის შედეგები წარმოდგენილია ორ ნაწილად. პირველ ნაწილში წარმოდგენილია მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად მიღებული შედეგები, ხოლო მეორე ნაწილში გამოვიტანეთ მოსწავლეებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგები. ნაშრომის დასასრულს კი წარმოვადგინეთ კვლევის საბოლოო სურათი შედეგების, დასკვნებისა და რეკომენდაციების სახით. იმისათვის, რომ ნათლად დავინახოთ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები მასწავლებელთა პასუხებს წარმოვადგენთ ერთიანი სახით.

რესპოდენტებად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შევარჩიეთ 10 სკოლის 20 მასწავლებელი ისე რომ თანაბარი ყოფილიყო როგორც მუსიკის, ასევე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებთა რაოდენობა. ინტერვიუს შედეგების მიხედვით, მასწავლებელთა უმეტესობა მუსიკასა და ხელოვნებას ასწავლის ორივე საფეხურზე, როგორც დაწყებითზე ასევე საბაზო საფეხურზე, 3 გამონაკლისის გარდა, რომლებიც აღნიშნულ საგნებს ასწავლიან მხოლოდ საბაზო საფეხურზე. არაა გასაკვირი ის ფაქტი რომ გამოკითხული 20 სკოლიდან არცერთი არაა ისეთი, რომელშიც მუსიკა ან ხელოვნება იქნება არჩევითი საგანი საშუალო საფეხურზე. ეს ფაქტი კი მოწმობს მოსწავლეთა და არამარტო მოსწავლეთა ინტერესზე აღნიშნული საგნების მიმართ.

საინტერესოა მასწავლებელთა სამუშაო გამოცდილება, გამოკითხულთა უმრავლესობას სკოლაში აღნიშნულ საგნების სწავლების 11 წლიანი პრაქტიკა აქვთ. მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მოსწავლეებზე ორიენტირებული გარემო შექმნან საინტერესო აქტივობებითა და მეთოდებით. იმისათვის რომ საგანი სრულყოფილად და საინტერესოდ ასწავლო საჭიროა პროფესია და კვალიფიკაცია გიწყობდეს ხელს. ამ კუთხით მასწავლებლებს ვთხოვეთ ესაუბრათ თავიანთი პროფესიის შესახებ, აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა უმეტესობა კვალიფიკაციით მასწავლებელი არ არის. მართალია რამდენიმე მათგანს აქვს რაღაც კუთხით ხელოვნებასა და მუსიკასთან შეხება, მაგრამ როდია საკმარისი იმისთვის, რომ აღზარდო თაობა. გთავაზობთ მასწავლებელთა პასუხებიდან რამდენიმეს.

- **გთხოვთ გვიამბეთ თქვენი განათლების შესახებ (უნივერსიტეტი, ფაკულტეტი, კვალიფიკაცია),**

მასწავლებელთა პასუხები ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ, პირველ ნაწილში მოვიტანთ პასუხებიდან რამდენიმეს, რომლებსაც რაღაც კუთხით შეხება აქვს მუსიკა-ხელოვნებასთან, გამოკითხულთა ამ ნაწილის უმეტესობას დამთავრებული აქვს სახელმწიფო კონსერვატორია ან სამხატვრო აკადემია სხვადასხვა მიმართულებებით. გთავაზობთ მათგან რამდენიმეს:

„დავამთავრე ჰამლეტ გონაშვილის სახელობის კოლეჯი ხელოვნების ისტორიის მიმართულებით“

„თოიძე და ხელოვნების მენეჯერთა ინსტიტუტი, დიზაინის განხრით. და პლიუს უამრავი ტრენინგი“

„დავამთავრე ხელოვნების ინსტიტუტი, პროფესიით ტელე-რადიო გადაცემათა მუსიკალური რედაქტორი“

„ვსწავლობდი სახელმწიფო კონსერვატორიაში“

„დავამთავრე საქართველოს სახელმწიფო სამხატვრო აკადემია“

„დავამთავრე სამხატვრო აკადემია, ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი“

სამწუხაროდ, მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი არა ხელოვნებათმცოდნე, არამედ სულ სხვა პროფესიისაა:

„თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ისტორიის ფაკულტეტი. ხელოვნების ისტორიის განხრაც. ისტორიის მასწავლებლის კვალიფიკაცია მომანიჭა უნივერსიტეტმა.“

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენების ფაკულტეტი“

„სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი უცხო ენების განხრით“

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი“

გასაკვირი არ იყო შემდეგ შეკითხვაზე მიღებული მონაცემების შედეგები. კითხვაზე ჩაბარებული აქვთ თუ არა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდა, ვნახეთ, რომ გამოკითხულთა 60 პროცენტზე მეტს არ აქვს ჩაბარებული გამოცდა, მაგრამ დარეგისტრირებულია და აპირებს ჩაბარებას.

- **რა სახის პრობლემებს აწყდებით გაკვეთილის მსვლელობისას?**

„ისეთი პრობლემა, რომ გამოვკვეთო და აღვნიშნო არაფერია, ჩვეულებრივ როგორიც უნდა იყოს დამოკიდებულება, ისეთი არაფერი რომ მახსოვდეს, ჩემი გაკვეთილის ფორმატი მოიცავს იმას რომ დისციპლინაზე აღარ მქონდეს პრობლემა, ყოველთვის შეიძლება რომ ბავშვი დასაქმებული გყავდეს“

„ზოგადად არ ვაწყდები პრობლემას, შეიძლება ბავშვი არ გამოიჩეოდეს სწავლით და ცოდნით, ამიტომ ვააქტიურებ ხელოვნების მიმართულებით და აუცილებლად ერთვება“

„არანაირი პრობლემები, არ მყავს მოსწავლე რომელიც არ არის აქტიური გაკვეთილის მსვლელობისას“

„მოსწავლეთა ჩართულობას არ ვუჩივი, უბრალოდ მრავალრიცხოვანი კლასებია და კარგი იქნება კლასში მყავდეს ბევრად ნაკლები მოსწავლე“

„პრობლემები მოსწავლეთა ჩართულობასა და ინტერესის გამოჩენაში ნამდვილად არ მაქვს, ყოველთვის ვახერხებ დისციპლინის შენარჩუნებას“

„რესურსების პრობლემები მაქვს ყოველთვის. მჭირდება გაკვეთილზე მქონდეს თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორიცაა კომპიუტერი, ეკრანი და სხვა“

„ძირითადად მაქვს ინფრასტრუქტურის პრობლემა. საგანი არ შეიძლება ისწავლებოდეს ასე მშრალ კლასში, სადაც ისწავლება სხვა საგნებიც. აუცილებელია ოთახში იყოს სველი წერტილი, რადგან ასე ვერ მივაღწევთ ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ მიზნებს. როცა ეროვნული სასწავლო გეგმა გვავალდებულებს, რომ ბავშვებს უნდა ვახატინოთ გუაშით, ზეთით, აკვარელით, მაშინ უნდა შექმნან კიდეც შესაბამისი გარემო, მინიმუმ კლასში უნდა გვქონდეს წყალი და შესაბამისი ტექნიკაც, იქნება ეს კარადები თუ სპეციალური მაგიდები“

„გარემოს პრობლემას დავასახელებ და ვიტყვი, რომ სრულფასოვნად გაკვეთილის ჩატარებას ვერ ვახერხებ, ვინაიდან არ მაქვს ხელოვნების კაბინეტი სადაც მექნებოდა მოლბერტები, კომპიუტერი, სასწავლო რესურსი და მონიტორი, იმისთვის რომ დამატებითი მასალა მეჩვენებინა მოსწავლეებისთვის“

„არის დღეები, როდესაც დღეში 5 ან 6 გაკვეთილის ჩატარება მიწევს და შეუძლებელია დამატებითი რესურსი, რომელიც ყოველთვის მჭირდება, თან ვატარო ყველა გაკვეთილზე, ეს ფიზიკურად შეუძლებელია, ამიტომ კარგი იქნება გვქონდეს სპეციალური ოთახი, სადაც ჩავატარებთ ხოლმე ხელოვნების გაკვეთილებს“

„ძირითადი პრობლემა ისაა, რომ ყველა კლასში ძალიან ბევრი მოსწავლეა, 35-ზე მეტი და ეს თავისთავად იწვევს ხმაურს და რთულია მოსწავლეთა გაჩერება. მათი ყურადღების მოკრება“

„ძირითადად უჭირთ მოსმენა, მოსმენის კულტურა არ აქვთ“

„ზოგიერთი ძალიან თავხედია და მასთან არანაირი მიდგომა არ ჭრის. შეიძლება ერთი ბავშვის გამო მქონდეს ხოლმე ხმაური კლასში“

„დუმს.... გაკვეთილს გავცდეთ და დავიწყებ საზოგადოების მიუღებლობიდან ამ საგნის მიმართ, მშობელი არ არის მზად რომ საგანი წაუკითხონ სრულყოფილად“

„მოსწავლე არ არის დამოუკიდებელი და არ შეუძლია მშობლების და საზოგადოების აზრს დააღწიონ თავი. ეს გამოიხატება იმაში, რომ მუსიკის საგნის მიმართ ნეგატიურადაა განწყობილი, ყოველშემთხვევაში ისე არ უდგება საგანს, როგორც მაგალითად ქართულს მიუდგებოდა“

წარმოდგენილი პასუხებიდანაც ვხედავთ, რომ გამოკითხულთა შედეგები რამდენიმე მიმართულებით გაიყო. ანალიზმა გვიჩვენა, რომ მასწავლებელთა 40 პროცენტს არ აქვს პრობლემები გაკვეთილზე, რომ ისინი მარტივად ახერხებენ გაკვეთილზე დისციპლინის შენარჩუნებასა და სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვას. ცალსახად კარგია ასეთი შედეგი, მაგრამ აქვე საფუძვლიანი ეჭვის შეტანაც შეიძლება პასუხის სისწორეში.

მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი ასახელებს სასწავლო რესურსთან დაკავშირებულ პრობლემებს. ისინი მიიჩნევენ რომ დამატებითი რესურსების არქონა ხელს უშლით პროცესის ეფექტურად მიმდინარეობაში, თუმცა კი ამის შესახებ ძალიან მცირე ნაწილი წუხს.რეალურად კი, აღნიშნული საკითხი მეტად საყურადღებოა და დიდ პრობლემას წარმოადგენს.

ძირითად პრობლემებზე საუბრისას გამოვყოფდით ორ მასწავლებელს, რომლებიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სხვაგვარ პრობლემას ასახელებენ. ისინი თვლიან, რომ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია საზოგადოების დამოკიდებულება აღნიშნული საგნების მიმართ, მათი აზრით, ეს შეხედულება იმდენად ნეგატიურია, რომ ეს ძალიან ცუდად აისახება მოსწავლეთა სწავლის შედეგებზეც.

- **თქვენი აზრით რა ფუნქცია აქვს ესთეტიკურ აღზრდას სკოლაში?**

„ძალიან დიდი ფუნქცია აქვს, აუცილებელია ესთეტიკური აღზრდა ისწავლებოდეს და იყოს ეს კათედრა. ეს საგნები არის აუცილებელი“

„იცით როგორ არის, თვითონ ესთეტიკა ყველა ადამიანს უნდა გააჩნდეს და უნდა ისწავლებოდეს დიდი რაოდენობით და არა შეზღუდულად. უნდა იყოს სწორი მიმართულებით და დიდი დოზით“

„სამწუხაროდ, ეს საკითხი საქართველოში ძალიან უყურადღებო თემაა... უხეშად რომ ვთქვათ, ესთეტიკური აღზრდის მიზანია მოსწავლემ იცოდეს სად არის საგამოფენო დარბაზი, არჩევდეს მას კინოთეატრისგან და იცოდეს სად არის საკონცერტო დარბაზი, იცოდეს ის ძირითადი ელემენტები მუსიკაში, რომლებსაც ვასწავლით და კლავესინი ცოცხალი ადამიანი არ ეგონოს (იცინის)“

„(ბევრი ფიქრის შემდეგ) ბავშვს შეეძლოს ისაუბროს ხელოვნების მიმართულებით, სხვადასხვა ქვეყნის არქიტექტურასა და კულტურაზე. ისაუბროს საქართველოს ხელოვნებასა და კულტურაზე“

„მიზანი არის ის, რომ მოსწავლემ აღიქვას სილამაზე და ფერები, რომლებსაც მივაწვდით“

„მიიღონ ზოგადი განათლება კულტურულ დარგებში და ჩამოუყალიბდეთ რაინდული ჩვევები ბიჭებს, ისწავლონ ქცევის წესები და პატივისცემა გარშემომყოფთა მიმართ“

„ესთეტიკური აღზრდის ამოცანებია ის, რომ ისწავლონ საკუთარი აზრის დაფიქსირება, ემოციებისა და შთაბეჭდილებების სწორად ასახვა“

„ესთეტიკური აღზრდის ფუნქციაა არსებობის გალამაზება. ესთეტიკა ყველაფერი ლამაზი და მშვენიერია, ყველაფერი ის, რაც გულს აუფრიალებს ადამიანს, ჩემი აზრით, ესთეტიკისა და ხელოვნების გარეშე ადამიანი სრულყოფილი ცხოვრებით ვერ იცხოვრებს“

მოტანილი პასუხებიდანაც ნათლად ჩანს, რომ მასწავლებელთა უმეტესმა ნაწილმა არ იცის რა არის ესთეტიკური აღზრდის ამოცანები. როგორც ვნახეთ, სისნი ესთეტიკას ზედაპირულად უდგებიან და ფიქრობენ რომ ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლებით გარეგანი ფორმის მოწესრიგება შეიძლება.

მართალია გამოკითხულთაგან მცირე ნაწილი მიახლოებულია ესთეტიკური აღზრდის ამოცანებს. ისინი ფიქრობენ, რომ მუსიკისა და ხელოვნების სავლის მიზანია *„რაინდის აღზრდა“* სწორი ემოციური დამოკიდებულებების ფორმირება და სილამაზის დანახვა. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პასუხების მიხედვით ვერ ვიტყვით იმას რომ მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებლები ერკვევიან ესთეტიკური აღზრდის რაობასა და მის რეალურ მიზნებში. უფრო მეტიც, 3 მასწავლებელი ღიად განაცხადებს იმ ფაქტს, რომ ზუსტად არ იცის ესთეტიკური აღზრდის დანიშნულება და რომ სცოდნოდა წინასწარ მოამზადებდა პასუხს. ამგვარი მიდგომებით კი ნათლად ჩანს მასწავლებელთა დამოკიდებულება და ხარისხი საგნების სწავლისას.

- **თქვენი აზრით რას ნიშნავს პიროვნების ჰარმონიული აღზრდის იდეა? და რა კავშირი აქვს ესთეტიკურ აღზრდას ამ პროცესთან?**

„ყველა ვცდილობთ რომ გაწონასწორებულად და კარგად აღვზარდოთ ჩვენი შვილები და სხვისი შვილებიც და ყველანაირ გარემოს ვუქმნით ამისთვის. ჩვენი საგანი მითუმეტეს ისეთია რომ უწყობს ხელს ამ ყველაფერს. ჰარმონია ბევრ კარგ რაღაცას ნიშნავს. თვითონ სიტყვა მოიცავს ყველანაირად კარგად შეწყობას. ესთეტიკური

აღზრდა აყალიბებს ადამიანს, უფრო დახვეწილია, გემოვნებაც უყალიბდება, ინტერესის სფერო ეზრდება და ალბათ ეს არის ჰარმონია“

„ჰარმონიულად როგორც სახლში უნდა აღიზარდოს ბავშვი ისე სკოლაშიც, ეს შეთანხმებული უნდა იყოს, ჰარმონიულობა რა არის ხომ? თუ იგი ლაღია, მხიარულია და თუ არანაირი პრობლემა არ მოაქვს სახლიდან,მაშინ სკოლაშიც იგივე ქცევა აქვს. ჰარმონიული აღზრდა მოიცავს სიმშვიდეს...“

„თუ არ გვქონდა ჰარმონიული აღზრდა არანაირი სილამაზის აღქმა და გემოვნების ჩამოყალიბება არ გვექნებოდა. ეს მოიცავს ყველანაირ დადებითს, რომელიც ყველგანაა“

„სიმართლე გითხრათ არ ვიცი რა შემოგვთავაზა არისტოტელემ, არ ვიცი რას ნიშნავს ჰარმონიული აღზრდის იდეა“

„ჰარმონიული აღზრდა გვაქვს მაშინ, როცა მოსწავლე შეძლებს სხვა მრწამსის ადამიანთან ჰარმონიულ ცხოვრებას“

„ხელოვნება არის მოძღვრება მშვენიერებისა და ესთეტიკის შესახებ. ჰარმონიაც არის თანწყობა, შეხმატკბილება და ამ ორს შორის დიდი კავშირია“

„ჰარმონია შეხმატკბილებაა და მისი მიზანი სკოლაში ისაა, რომ ერთმანეთთან იყოს დაკავშირებული ყველა საგანი“

როგორც ვხედაავთ, აღნიშნული შეკითხის პასუხებიდან მხოლოდ მცირე ნაწილია წარმოდგენილი და ვფიქრობთ ესეც ზედმეტია, ვინაიდან აქ აღინიშნებოდა მსგავსი პასუხების ერთობლიობა. სამწუხაროდ მასწავლებელთა ძალიან დიდმა ნაწილმა, შეიძლება ითქვას, რომ არავინ არ იცის რას ნიშნავს ჰარმონიული აღზრდის იდეა, უფრო მეტიც, სუბრისას გამოჩნდა რომ არისტოტელეს მიერ შემოთავაზებული იდეის შესახებ არც სმენიათ.

20 მასწავლებლიდან შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ერთ მასწავლებელს სმენია ჰარმონიული აღზრდის იდეის შესახებ, რომელსაც შემდეგნაირად აყალიბებს იგი.

„ჩვენი ძველი ბერძნების აღზრდის მეთოდები ჩემთვის აბსოლუტურად მიღებულია. ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბება მოიცავს როგორც ტვინს, ასევე ფიზიკურს, ასევე სულიერ მხარეებს, რაშიც, რა თქმა უნდა, შედის ესთეტიკური აღზრდაც. ჰარმონიული აღზრდა მოიცავს სულსაც და გულსაც, მნიშვნელოვანია ორივე ერთნაირად ავამუშაოთ“

- **როგორ ფიქრობთ რა არის იმ საგნის სწავლების მიზანი, რომელსაც თქვენ ასწავლით? რის სწავლებას ემსახურება აღნიშნული?**
- **ესთეტიკური აღზრდის ამოცანებიდან თქვენთვის რომელი უფრო მნიშვნელოვანია? რაზე აკეთებთ აქცენტს გაკვეთილზე?**

ქვემოთ მოცემული მცირე ჩამონათვალიდან, რომელიც ნაშრომშია წარმოდგენილი ჩანს, რომ მასწავლებლები ზედაპირულად უყურებენ საგნების სწავლების მიზნებს. მათთვის მნიშნელოვანია არა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე მუშაობა, არამედ ის თუ როგორ მიაწოდონ მოსწავლეებს მუსიკისა და ხელოვნების განვითარების ისტორიები, მხატვრების ბიოგრაფიები და ასე შემდეგ.

„ ადამიანის ხელმა შექმნა ყველაფერი, რასაც ხელოვნებას ვეძახით, უკვე სიტყვიდან გამომდინარე პასუხი ნათელია თუ რა მიზანი აქვს ხელოვნების სწავლებას და რატოა საჭირო. ვუხსნით ბავშვებს, რომ ყველაფერი შეიქმნა ადამიანის ხელით, ჯერ ადამიანი შეიქმნა, მერე ადამიანის ხელმა შექმნა ყველაფერი რაც ჩვენს გარშემოა. და აი ამ ყველაფერს ადამინის მიერ შექმნილს ვეცნობით და ვსწავლობთ“

„ხელოვნების სწავლების მიზანი ხელოვნების ნიმუშების გაცნობაა, რომელიც კულტურის ნაწილია“

„ხელოვნება ბევრ სფეროს მოიცავს და ემსახურება კულტურას. თუ როგორ არის განვითარებული ძველი წელთაღრიცხვიდან ამ დრომდე. მნიშვნელოვანია ხელოვნების სწავლება სკოლაში, იმიტომ რომ ხელოვნება მოიცავს ყველაფერს“

„მუსიკის დანიშნულება ზოგადი განათლების მიცემაა, იმისათვის რომ მოსწავლე კულტურულ ადამიანად აღვზარდოთ ძალიან გვეხმარება მუსიკა“

„სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია ყველა იყოს ჩართული და იაქტიურონ. ჩემთვის მნიშვნელოვანია შეძლონ სილამაზის აღქმა“

„ჩემთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეებს ვაჩვენო კულტურის განვითარების ხაზი, ის რაც შეიქმნა ადრეულ საუკუნეებში და რაც იქმნება დღეს და ეს ისე მივაწოდო, რომ მოსწავლეებმა შეძლონ განსხვავების წარმოჩენა სხვადასხვა ეპოქას შორის“

„ეს ისეთი საგნებია, რომლითაც ერთგვარი განტვირთვაც ხდება ბავშვების, ამიტომ ყველაზე მნიშვნელოვანი მოსწავლეთა ჩართულობაა“

„მოსწავლეს უნდა შეეძლოს მუსიკის ადეკვატურად აღქმა და არა მისი, როგორც ცალკე განზომილების გაგება. მუსიკის მიზანია მოსწავლეები აღვზარდოთ მსმენელებად, მნიშვნელობა არ აქვს იმღერებს თუ არა იგი ბანს, მთავარია მან სწორად აღიქვას ნაწარმოები“

„სილამაზის აღქმისთვის და ზოგადი განათლების მისაცემად საჭიროა ხელოვნების სწავლა“

თუმცა გამოკითხულთაგან არიან ისეთებიც, რომლებიც მუსიკისა და ხელოვნების სწავლების მიზანში უფრო ღრმას ხედავენ. მათთვის პრიორიტეტია სილამაზის აღქმის ფორმირება, კულტურათა დაფასების უნარის გამომუშავება და გემოვნების ფორმირება. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელთა პასუხები მთლად სრულყოფილი არ არის, საერთო ფონიდან გამომდინარე მაინც ღირსებად შეიძლება ჩაითვალოს. გთავაზობთ გამოკითხულთა შედეგებს სრული სახით:

„მუსიკაში არის ესთეტიკა, სწორედ სიამოვნებისა და ბედნიერების მინიჭება და სილამაზის დანახვაა მუსიკის მიზანი, თან ისე, რომ გაიგო რატომ მოანიჭა ამა თუ იმ საგანმა და მოსმენილმა სიამოვნება და ბედნიერება“

„ხელოვნება არის საგანი, რომელიც აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს სკოლაში. მაგალითად დაწყებით კლასებში ხელოვნება მოსწავლეებს უვითარებს წვრილ მოტორიკას. ხელოვნება ეხმარებათ ბავშვებს ქართულისა და მათემატიკის უკეთ

დაძლევაში, ხელოვნების საშუალებით ისინი შეძლებენ მაგალითად ასოები მოათავსონ იმ სივრცეში, რაცაა გამოყოფილი ასოს დასაწერად“

„ხელოვნება მოსწავლეებს უვითარებს თავისუფალ და შემოქმედებით აზროვნებას, ხელოვნება ეხმარება მოსწავლეებს რომ გამოხატონ თავიანთი ემოციები და იყვნენ კრეატიულები“

„ესთეტიკური აღზრდის საგნები გონებას ანვითარებს და აუცილებელია ისწავლებოდეს ყველა საფეხურზე ერთნაირი დატვირთვით. ხელოვნნება არის საუკეთესო საშუალება იმისა რომ მოსწავლემ გამოხატოს საკუთარი ემოციები შეგრძნებები, შთაბეჭდილებები და გადმოსცეს თავისი სათქმელი თუნდაც ნახატით“

„ხელოვნების და მუსიკის გარეშე არავის არ შეუძლია, მათი მიზანია რომ ლამაზად იცხოვრო, ლამაზად აღიქვა ყველაფერი, ლამაზად წარსდგე საზოგადოების წინაშე“

„ყველაზე მნიშვნელოვანია აღქმადობა, ყველაფრის ადეკვატურად აღქმა“

- **ძირითადად რა აქტივობებს იყენებთ გაკვეთილზე იმისთვის, რომ მიზანს მიაღწიოთ?**
- **რა აქტივობებს იყენებთ იმისთვის, რომ მოსწავლემ აღიქვას ხელოვნების ნიმუშები?**

პასუხების ანალიზმა გვაჩევნა, რომ აქ მონაცემები თითქმის ერთმანეთის მსგავსია. მასწავლებელთა უმეტესობა ამბობს, რომ იყენებს სხვადასხვა სახის აქტივობას, თუმცა უჭირთ დაასახელონ რა სახის აქტივობასა და მეთოდს მიმართავენ მიზნის მისაღწევად. ვერ ვიტყვით რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს, მაგრამ ცხადია, რომ პასუხები თითქოს ზედაპირულია და მიზნის მიღწევისთვის შეუსაბამო.

თუმცა კი გამოიკვეთა პასუხები, რომელთა მიხედვითაც საინტერესო აქტივობების ჩამონათვალი გამოჩნდა, ეს არცისე ვრცელი, მაგრამ მაინც სასიამოვნო, ვინაიდან საერთო ანალიზი არცისე პოზიტიურ სახეს გვიჩვენებს. გთავაზობთ გამოკითხულთა მონაცემებიდან რამდენიმეს:

„ხშირად გვაქვს პრაქტიკული სამუშაოები. იმიტომ რომ თეორიულ მასალას პრაქიკულიც მოსდევს. ასე რომ ხშირად ვმუშაობთ გაკვეთილებზე. აქტივობებიდან ჯგუფური სამუშაოებიც გვაქვს, ინდივიდუალურადაც ვმუშაობთ, გამოფენები გვაქვს, მუზეუმებშიც ვყოფილვართ, ხშირად ვაკეთებთ გამფენებს“

„ხშირად მივმართავ ჯგუფურ სამუშაოებს“

„ვიყენებ ყველა აქტივობას შეძლებისდაგვარად მოსწავლის სპეციფიკიდან გამომდინარე“

„ვცდილობ, რომ ყველა ბავშვი ჩავრთო პროცესში. თუ ვხედავ რომ ბავშვს არ აინტერესებს, ვაძლევ უფლებას რომ დახატოს და პარალელურად იყოს აქტიური კითხვა-პასუხის რეჟიმშიც“

„მხოლოდ მუსიკის მოსმენა არაფერს არ მოგვცემს თუ აქტიური საუბარი არ გავმართეთ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებიდან. ყველაზე კარგი აქტივობა პირადი და სხვათა გამოცდილების გაზიარება და მუდმივი რჩევა-დარიგებაა“

„მაქსიმალურად ყველა აქტივობას და მეთოდს ვიყენებ იმისთვის, რომ ბავშვს განუვითარდეს შემოქმედებითი აზროვნება, ფანტაზიის უნარი. ძალიან ხშირად წავაკითხებ ხოლმე პატარა მასალას და შემდეც ვაკეთებინებ ჩანახატს“

„ვიყენებ სხვადასხვა აქტივობას, იმისთვის რომ მიზანს მივაღწიოთ, მაგრამ გარემოებებიდან გამომდინარე ამას სრულყოფილად ვერ ვახერხებთ, არ გვაქვს საკმარისი რაოდენობის რესურსი რომ სხვადასხვა აქტივობა განვახორციელოთ“

„ყველაზე კარგად ვიყენებ „კეთებით სწავლების მეთოდს“, რადგან ამ დროს ყველაზე უკეთ ვუხსნი მასალასაც და ბავშვები უფრო დაინტერესებულებიც არიან და მეტად ჩართულები სასწავლო პროცესში“

„ძალიან ხშირად ვაჩვენებ ხოლმე ფილმებს, ეს ყველაზე კარგად აისახება შედეგზე, როცა მოსწავლეები ვიზუალურად ხედავენ კარგად აკეთებენ პარალელებს და იაზრებენ მასალას“

„ძალიან მომწონს ჯგუფური მუშაობის მეთოდი, ვაკეთებთ მინილექციებს, მაქვს ინტერაქტიური შეკითხვები“

„აღქმა, თვითონ უნდა მოხდეს შინაგანად, ამას ძალით ვერ ასწავლი, ის ან უნდა დაინახოს ან ვერ დაინახავს. ხშირ შემთხვევაში იმისათვის, რომ აღიქვას უფრო საინტერესო უნდა გახადო საგანი თუ მოვლენა. რაღაცა ამბავი უნდა მოუყვე საინტერესო, უნდა წაიყვანო იქითკენ რომ ეს დაანახო. ნიმუშად მოვიყვან დავით კაკაბაძის წერილს, „წერილი ძმას“ სადაც ჩანს ხელოვნების როლი, ხშირად ვუყვები ხოლმე ბავშვებს და ვცდილობთ გავიაზრო ტექსტი. ასევე შემაქვს დამატებითი მასალა, რომელიც ზოგჯერ არის საჭირო, ხშირად არა“

„შემაქვს დამატებით რესურსები და მოსაძიებელი მასალები“

„მაგალითად მაქვს ასეთი აქტივობა სახელწოდებით „ხელოვნების გასაოცარი ფაქტები“ - აქტივობის ფარგლებში მოსწავლეებს ვავალებ ინფორმაციის მოძიებას გასაოცარ მხატვრობაზე, არქიტექტურაზე და სხვა, რის შემდეგაც აკეთებენ ისინი პრეზენტაციას“

„აღქმისთვის ძალიან მნიშვნელოვანია აჩვენო და თუნდაც გააკეთებინო ის, რასაც ასწავლი, თვალსაჩინოება ყველაზე კარგი საშუალებაა იმისთვის რომ აღიქვას ესა თუ ის ნიმუში თუ სასწავლო მასალა“

„იმისთვის, რომ მოსწავლემ შეძლოს ხელოვნების ნიმუშის აღქმა, აუცილებელია ჯერ კარგად აუხსნას მასწავლებელმა მასალა, გააკეთოს აქცენტები მთავარ საკითხებზე. ჯერ უნდა ასწავლო შთაბეჭდილებების სწორად გადმოცემა და შემდეგ ისწავლონ როგორ გადმოსცენ ესა თუ ის“

„ჯერ თეორია უნდა ვასწავლოთ კარგად, მაგალითად უნდა შევასწავლოთ მიმდინარეობები სრულყოფილად და შემდეგ მოსწავლე თავად ამოიცნობს რომელ მიმდინარეობას მიეკუთვნება ესა თუ ის ნახატი. და შეადარებენ ისინი სხვადასხვა ნახატებს“

„ძალიან ხშირად ვიყენებ ალბომებს, რომელიც ძალიან კარგი საშუალებაა აღქმისთვის. ამ დროს მოსწავლეები უშუალოდ ათვალიერებენ და აკვირდებიან,

გამოთქვამენ შეხედულებებს წვრილმანებზეც კი. ასევე ხშირად ვაჩვენებ ხოლმე ფილმებს და ეს ყველაფერი მეხმარება ბავშვის ყურადღების კონცენტრაციასა და ჩართვაში“

- **როგორც მასწავლებელი რას აკეთებთ კლასში იმისათვის, რომ მიაღწიოთ ესთეტიკური აღზრდის ამოცანებს? (სილამაზის დანახვის უნარი, გემოვნების ჩამოყალიბება, მსოფლმხედველობის ფორმირება, სიყვარულის, პატივისცემისა და ტოლერანტობის განცდა, ინტერესისა და სიყვარულის გაღვივება ხელოვნებისადმი...)**

აღნიშნულ შეკითხვაზეც ბუნდოვანი და ერთგვაროვანი პასუხები მივიღეთ, მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი იყენებს სხვადასხვა მეთოდსა და დამატებით რესურსს, მაგრამ მათ თითქოს გაცნობიერებული არ აქვთ კონკრეტული მიზნისთვის შესაბამისი აქტივობა. კი ყენებენ რესურსებს, მაგრამ არა ერთი კონკრეტული მიზნის მისაღწევად, არამედ ზოგადად გაკვეთილის წარმართვისთვის. ინტერვიუს დროს რამდენჯერმე აქცენტი გავაკეთეთ ესთეტიკური აღზრდის ამოცანების ფორმირებისათვის რას აკეთებდნენ ისინი, თუმცა კი, სასურველ შედეგამდე მაინც ვერ მივედით. ქვემოთ წარმოვადგენთ მასწავლებელთა პასუხებიდან ნაწილს შეჯერებული სახით:

„დამატებით რესურსებს ვიყენებ, განვიხილავთ ხელოვნების ნიმუშებს, აფასებენ ნახატებს და ამით უმუშავდებათ გემოვნება და სილამაზის აღქმა“

„პირველ რიგში ვიგებ რა აინტერესებთ ბავშვებს და ვმართავთ დისკუსიას. ვითვალისწინებ ინტერესებს და ეს მეხმარება ურთიერთობაში და მიზნების შესრულებაში“

„სხვადასხვა აქტივობებს ვიყენებ, მაგალითად მსოფლმხედველობის ფორმირებისას ვცდილობ მოსწავლეები გადავაჩვიო იმას, რომ აღარ თქვან „რაში დამჭირდება ცხოვრებაში მუსიკა?“

„ამისათვის ვიყენებ შემდეგ მეთოდს, მაგალითად,, როდესაც ბავშვი მიყვება მასალას, ჯერ თავად ვაფასებინებ მონაყოლს და შემდეგ სხვას ვთხოვ შეაფასოს მონათხრობი რეალურად“

„პირველ რიგში კლასში უნდა შევქმნათ დადებითი განწყობა, აუცილებელია პოზიტიურად მივაწოდოთ ბავშვებს ინფორმაცია. აუცილებელია დავაინტერესოთ ბავშვები ხელოვნებით, თუ ეს სიყვარული არ გვქონდა ყველა იდეალზე საუბარი იქნება ზედმეტი“

ამას შეიძლება მივაღწიოთ განწყობებით და იმ რესურსებით, რომლებიც შემაქვს გაკვეთილზე. მნიშვნელობანია პოზიტიური გარემოს შექმნა“

- **რამდენად ხშირად იყენებთ კლასგარეშე აქტივობებს? დადიხართ თეატრში, გამოფენებზე, კინოში? ბოლოს როდის იყავით?**

„ბოლოს ვიყავი ხელოვნების სასახლეში 2 წლის წინ“

„კი დავდივართ, უმეტესად ხელოვნების მუზეუმში, ხშირად მივდივართ ბუნებაში, სადაც ვაკეთებთ მოკლე პროექტებს...“

„ხშირად ვიყენებ ასეთ აქტივობებს. მაგალითად, პირველი რაც გამახსენდა ეს არის ის, რომ სოციალურ ქსელში ინდივიდუალურად ვაწვდი მოსწავლეებს სხვადასხვა მასალას, მათი ინტერესების გათვალისწინებით და ამის შემდეგ მე ვიცი ხოლმე, რომ მან ეს მასალა ნახა და მოისმინა და შედეგი ძალიან მახარებს. შემდეგი აქტივობა, რომელიც მე ძალიან მიყვარს არის ექსკურსია უფრო სწორად იყო, იმიტომ რომ წარსულში ყოველ შაბათ-კვირას დავდიოდით იქ, სადაც თავად ცხვირს ვერ შეყოფდნენ მოსწავლეები. ისე ვერ ნახავენ საოპერო თეატრს, როგორც ჩემთან ერთად“

„ბოლო ოთხი წელია, ყოველ პარასკევ დღეს ბავშვები დამყავს მუზეუმებში და ეს თითქოს ჩვევად გვაქვს გამომუშავებული. გამონაკლისია პირველი და მეორე კლასი, ამ შემთხვევაში გასვლითი აქტივობებიდან თავს ვიკავებ რადგან მათ არ იციან გასვლის

მიზანი, ვერ იაზრებენ რისთვის გამყავს ასე რომ გასვლით აქტივობებს მესამე კლასიდან ვიწყებ“

„მე ამ აქტივობას ხშირად არ ვიყენებ, რამდენჯერმე ვიყავით თეატრში“

„დავდივართ, მაგრამ წელს დროის სიმცირის გამო ვერ მოვახერხეთ ძალიან ხშირად. ადრე უფრო ხშირად დავდიოდით, ძირითადად მუზეუმებში“

„კლასგარეშე აქტივობა ძალიან მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში და მე ეს კარგად მესმის, ყოველწლიურად დღესასწაულებზე ვაწყობთ ხოლმე მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვას და ამ საღამოებს აქვს საქველმოქმედო ხასიათი“

„ხშირად დავდივართ მუზეუმებში და ეს ძალიან კარგი აქტივობაა, რადგან ამ დროს ვიღებ მოსწავლეებისგან უკუკავშირს და ამ მეთოდით შედეგიც უფრო თვალსაჩინოა. გასვლითი აქტივობები ინტერესის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ყველაზე კარგი საშუალებაა“

- **რამდენად აღჭურვილია თქვენი სკოლა მუსიკალური ინსტრუმენტებით? და რამდენად ხშირად იყენებთ მას?**
- **რამდენადაა სკოლა აღჭურვილი დამატებითი რესურსებით, თუნდაც მხატვრების სურათებით, ან თუ გაქვს სპეციალური ოთახი? საგამოფენო დარბაზი?**
- **მუსიკის სწავლის შინაარსიდან გამომდინარე თუ იყენებთ ფორტეპიანოს და რამდენად აუცილებელიამისი გამოყენება სწავლების პროცესში?**

გამოკითხულთა შედეგებიდან ვიგებთ, რომ მასწავლებელთა უმეტეს ნაწილს, თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას, 2 გამონაკლისის გარდა, ძალიან აწუხებს დამატებითი რესურსების არქონა. აღნიშნული ფაქტი კი დისკომფორტს უქმნის სასწავლო პროცესის მსვლელობისას. მასწავლებელთა აზრით დამატებითი რესურსები აუცილებელია იმისათვის, რომ საგნების სწავლება სრულყოფილი და სრულფასოვანი იყოს.

როგორც ვნახავთ, გამოკითხულთაგან არის რამდენიმე ისეთი მასწავლებელი, რომელიც ფიქრობს, რომ დამატებითი რესურსი საჭიროა, მაგრამ არა აუცილებელი.

ისინი არსებულით კმაყოფილდებიან და ფიქრობენ, რომ სახელმძღვანელოში მოცემული მასალითაც ახერხებენ პროცესის სწორად წარმართვას.

„12 წელია ეს პრობლემა გვაქვს, კათედრას საკრავი არ გაჩნია, სააქტო დარბაზში საკრავი არ დგას. მე მაქვს ერთგული „ვინმე“ ეს არის მაგნიტაფონი, საკუთარი მობილური და სასწავლო ბუკი“

„კი გვაქვს ფორტეპიანო და სადაც საჭიროა ვიყენებ, მაგრამ უფრო ხშირად ვიყენებ მაგნიტოფონს“

„აუცილებელია მუსიკალური ინსტრუმენტები, ასე ვთქვათ შეძლებისდაგვარად აღჭურვილია და კარგი იქნებოდა უფრო მეტი რესურსი გვქონოდა“

„ძირითადად გვჭირდება ფორტეპიანო და გვაქვს კიდეც, უბრალოდ უფრო მეტი რომ იყოს კარგი იქნებოდა. გამოყენებას რაც შეეხება, ვიყენებთ აქტიურად, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე“

„არამარტო ფორტეპიანო არამედ ყველა ის ინსტრუმენტი მჭირდება რაც დაკავშირებულია ნოტთან, გრძლივობასთან და სოლფეჯიოსთან“

„მასალა ხშირად მეც მომიტანია, ბავშვებსაც მოუტანიათ, სკოლაშიც რაღაცები გვაქვს. ეს ყველაფერი საკმარისია, წიგნშიც არის სურათები და არ განვიცდით უკმარისობას“

„სკოლაში არ გვაქვს კაბინეტი, მაგრამ მე შემაქვს დამატებითი რესურსი, ან ვაძლევ დავალებას რომ სახლში მოიძიონ მასალა და დაათვალიერონ“

„დამატებითი რესურსების პრობლემა, ნამდვილად არ გვაქვს, სკოლაში გვაქვს ელექტრონული რესურსებიც და ისე მასალაც, რომლის გამოყენების საშუალებაც გვაქვს ხოლმე“

„ხელოვნების კაბინეტი სამწუხაროდ არ გვაქვს. არ გვაქვს არც მხატვრის სურათები და ნახატები, მაგრამ წიგნში არის ეს ყველაფერი და ამას ვიყენებთ ხოლმე“

- **რამდენად კმაყოფილი ხართ სახელმძღვანელოებით? მათი შინაარსით? შეუძლია მას მოსწავლეების ესთეტიკური აღზრდა?**
- **სახელმძღვანელოებში გაწერილი პროგრამა უყალიბებს მოსწავლეებს მშვენიერების დანახვის უნარს? ან გემოვნებას?**

თითქმის თანაბრად გადანაწილდა პასუხები აღნიშნულ კითხვებზე. როგორც ვნახეთ, მასწავლებელთა ერთი ნაწილი კატეგორიულად ეწინააღმდეგება სასწავლო სახელმძღვანელოებსა და შინაარსს. ნაწილი ნეიტრალურ პოზიციას იკავებს და ფიქრობს, რომ მიზნის მიღწევა სახელმძღვანელოთა შინაარსიდან გამომდინარე კიარა, მასწავლებლის მიერ მიწოდებული მეთოდებით შეიძლება. რომ სახელმძღვანელოები არცისე ცუდია, თუმცა არც კარგი. მასწავლებელთა ერთ ნაწილს კი ძალიან მოსწონს სახელმძღვანელოების როგორც ფორმატი, ასევე შირაარსი და მასალის მოცულობა.

„ძალიან კმაყოფილი ვარ, მომწონს ეს სახელმძღვანელოები, მომწონს გაკვეთილების მოცულობა, საფეხურეობრივი ზრდა მასალის, ყველაფერი მომწონს, მე თავად ვესწრები წიგნების არჩევაზე და ვამბობ ხოლმე რომ ეს წიგნი ძალიან კარგია“

„მასალას შეუძლია ესთეტიკურად აღზარდოს, თუმცა ვისურვებდი მეტი ინფორმაცია იყოს ჩადებული. რამდენიმე თემა ძალიან მშრალია და მიწევს დამატებითი რესურსების შეტანა“

„სახელმძღვანელოების შინაარსით არ ვარ უკმაყოფილო, მომწონს პროგრამა, უბრალოდ ვისურვებდი ხარისხი იყოს უფრო მაღალი. მაგალითად წიგნში არსებული სურათების კომპოზიცია, ფერები და ხარისხიც უფრო კარგი და დახვეწილი“

„ამ სახელმძღვანელოთი მშვენივრად შეგიძლია მიიღო განათლება რაც საჭიროა ბავშვისთვის და კიდევ ფართოთ გაშლაში ვეხმარებით ბავშვებს თავიანთი სურვილიდან,ინტერესებიდან გამომდინარე. არის თემები, რომლებსაც უნდა დამატებითი მასალა და ვშლით ამ ყველაფერს“

„უყალიბებს იმ თვალსაზრისით, რომ ყველა პროგრამის იქით დგას ინდივიდი და მე ვაძლევ დამატებით მასალას“

„არა, არა და კიდევ ერთხელ არა. არ ვეთანხმები არცერთი მხრიდან. აშკარად რაღაც ჩარჩოებში ზის, რომელიც ცხოვრებაში მართლა არ გამოადგება ბევრი რამ. ერთი რამ რაც მომწონს ისაა, რომ ამოიღეს ხმებში სიმღერა, მიხვდნენ რომ ამის განხორციელება გაკვეთილზე შეუძლებელი იყო“

„არ მომწონს, არ შეესაბამება სტანდარტებს, მაგალითად წელს მე ვიყავი თეატრმცოდნე და კინომცოდნე, ვიდრე მუსიკის მასწავლებელი“

„არ მომწონს, რადგან პროგრამიდან ძალიან ბევრი კარგი მასალაა ამოღებული, მაგალითად ადრე როდესაც სულიკო ისწავლებოდა მთელი მონდომებით ვასწავლიდი მუსიკასაც, მელოდიასაც და ტექსტსაც და ეს სიამოვნებას ანიჭებდა ყველას, ახლა კი ტექსტიც კი არავინ აღარ იცის. მაშინ როცა მსოფლიო დონის ტექსტად ითვლება იგი“

„არ მომწონს სახელმძღვანელოების შინაარსი, რადგანაც არ არის დატვირთული მასალით. შემოგდებულია რაღაც თემა, რომელიც ჩვენ უნდა განვავრცოთ, რაც ძალიან დიდ დროს მოითხოვს“

„არ მომწონს სახელმძღვანელოები, არც მასალა, კარგი იქნებოდა ყოველ გაკვეთილს თან ახლდეს ინტერნეტ საიტები და ლინკები, რომლის საშუალებითაც მოსწავლეები შეძლებენ დამატებით ინფორმაციის მოძიებას“

„სახელმძღვანელოებს ცოტა შეცვლა და განახლება სჭირდება. პროგრამა შეიძლება ითქვას არაფრისმომცემია“

„შინაარსობრივად არ მომწონს წიგნები, მართალია ახალი ფორმატის წიგნები გამოვიდა, მაგრამ მაინც რაღაცების გადამღერებაა, არაა სრულყოფილი სასწავლო მასალა“

„მარტო პროგრამა ვერაფერს ვერ აჩვენებს მოსწავლეს, თან მაშინ, როცა მასალა ასე მწირია, ამ შემთხვევაში მასწავლებელი უნდა ეცადოს საინტერესოდ მიაწოდოს მასალა დამატებით რესურსებთან ერთად“

„არა სახელმძღვანელოთი ვერ, ფაქტობრივად თუ მასწავლებლებმა არ შევიტანეთ დამატებითი სახის მასალა, ისე სახელმძღვანელოს შინაარსი ამას ვერ შეძლებს“

„პროგრამაში მოცემულია ხელოვნების ისტორია უძველესიდან დღემდე. ცალკე აღებულს, რა თქმა უნდა არ შეუძლია აღნიშნულის მიღწევა, ამისთვის საჭიროა მასწავლებელმა მიაწოდოს მასალა საინტერესოდ და დამატებითი რესურსით“

„სილამაზის დანახვის უნარის ფორმირება და თუგინდ გემოვნების ჩამოყალიბება დამოკიდებული არ არის წიგნზე და პროგრამაზე, ეს მთლიანად მიწოდების ხარისხზე და მეთოდებზეა დამოკიდებული“

მასწავლებელთა პასუხებიდან გამომდინარე დასკვნის გამოტანა აღნიშნულ საკითხში გაგვიჭირდა, ვინაიდან გამოკითხულთაგან შედეგები თითქმის თანაბარია და რთულია ერთი რომელიმე პოზიციის არჩევა.

როგორია მოსწავლეთა ინტერესი საგნების სწავლების პროცესში? რამდენად ჩართულები არიან ისინი?

- **რომელ აქტივობაში არიან ისინი ყველაზე კარგად ჩართული და აქტივობის შერჩევისას ითვალისწინებთ თუ არა მოსწავლეების ინტერესებს?**

რამდენადაც ჩვენთვის გასაკვირი არ უნდა იყოს, მასწავლებელთა უმრავლესობა არ უჩივის მოსწავლეთა ინტერესებს და ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. ისინი აცხადებენ, რომ მათ მიერ შერჩეული აქტივობებით აერხებენ მოსწავლეთა ყურადღების მოკრებასა და ინტერესის გამოწვევას.

თუმცა, მასწავლებელლთა პასუხებიდან გამოიკვეთა ისიც, რომ ნაწილი მოსწავლეებისა არ არიან ჩართულნი პროცესში იმიტომ, რომ არ აინტერესებთ. მასწავლებლები ამის მიზეზად საზოგადოების დამოკიდებულებას ასახელებს, რომელიც მოსწავლეთა ინტერესსა და ჩართულობაზე აისახება.

„აინტერესებთ, ვერ ვიტყვი რომ არ აინტერესებთ, როგორც საგანი, მეტი რა ქნან. ჩართულებიც არიან. კარგად აკეთებენ პრაქტიკულ სამუშაოებს“

„ვაიმე, ძალიან ჩართულები არიან, ძალიან აინტერესებთ, რამდენიმე თემა მითუმეტეს, ნუ არის შემთხვევები როცა არ აინტერესებთ. მაგრამ მაინც მასწავლებელზეა დამოკიდებული, თუ საინტერესოდ შეიტან მასალას, აუცილებლად მოგისმენენ და ჩაერთვებიან“

„პედაგოგი უნდა ეცადოს რომ დააინტერესოს მოსწავლე, თუ დააინტერესებს ჩაერთვებიან. მაგალითად მე შემაქვს ხოლმე ტერმინები, რომელთა ცოდნა მერეც გამოადგებათ“

„ასაკობრივად ეს ინტერესი განსხვავებულია, რაც უფრო დაბალ კლასშია მოსწავლე, მით უფრო აინტერესებთ და მეტი ენთუზიზმით აკეთებენ დავალებს და არ სჭირდებათ ჩარევა ზედმეტად. განსხვავებულია მაღალ საფეხურზე, ვამჩნევ, რომ რასაც დღეს ვასწავლი, თუნდაც ეს თამაშით იყოს გაკეთებული, 3 კვირის შემდეგ ეს აღარ ახსოვთ“

„ინტერესის თვალსაზრისით არცერთ კლასს არ ვუჩივი, ყველა დაინტერესებულია სწავლით, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როცა დამატებითი მასალა თუ აქტივობა მოსწავლეებს მოსწონთ. უნდა მოარგო მოსწავლეთა ინტერესებს მასალაცა და დამატებითი რესურსიც, სხვა შემთხვევაში ინტერესს ვერ დავინახავთ“

ვიყენებ კროსვორდების შედგენს აქტივობას, რომელიც პატარებსაც და დიდებსაც მოსწონთ, ასევე ერთმანეთთან შეჯიბრების მეთოდი ძალიან გამართლებულია“

„კარგად არიან ჩართულები ჯგუფურ სამუშაოში. აქ ერთი რაღაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, კერძოდ, სწორად უნდა გადავანაწილოთ ბავშვები ჯგუფში“

„ხატვა არის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება, მაშინ, როცა მოსწავლეს არ აინტერესებს მასალა, საშუალებას ვაძლევ დახატოს და ასე გადმოსცეს საკუთარი განცდები თუ ფიქრები“

მასწავლებელთა პასუხებიდან, ჩანს, რომ ისინი მოსწავლეთა ჩართულობის საკითხს არცისე დიდი სერიოზულობით უდგებიან. მართალია ზოგიერთი აღიარებს, რომ გაკვეთილზე ყურადღების დეფიციტს განიცდის, მაგრამ ისეტ აქტივობას არ შეიმუშავებს, რომელიც დააინტერესებს მოსწავლეს.

- **თქვენი აზრით ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლება რომელ საფეხურზე უფრო მნიშვნელოვანია?**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქმე შედარებით უკეთესადაა, მასწავლებლები ერთხმად თანხმდებიან იმაზე, რომ ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლება სამივე საფეხურზე ძალიან მნიშვნელოვანია და დიდ როლს უთმობენ აღნიშნული საგნების სწავლებას დაწყებით საფეხურზეც:

„სამივე საფეხურზე ყოველთვის მნიშვნელოვანი და ძალიან კარგია. პატარებისთვის განსაკუთრებით საჭიროა, რადგან ხელის მოტორიკას ხვეწავს და საჭიროა, რავიცი ყოველთვის კარგია, კეთების პროცესში მშვიდდებიან, წყნარდებიან, რაც ძალიან კარგია მათთვის“

„ყველა დროს ძალიან მნიშვნელოვანია, აუცილებელია დაწყებითი საფეხურიდან დაიწყოს, იმიტომ რომ ყველაფერს დაბალ კლასებში ეყრება საფუძველი და არც ესთეტიკური აღზრდის საგნებია გამონაკლისი“

„დაბალიდან უნდა დაიწოს რომ მერე განვითარება ჰპოვოს მაღალ საფეხურზე“

„ყველა საფეხურზე ერთნაირად მნიშვნელოვანია, ბავშვი აღიქვამს ისე, როგორც იზრდება, ბაღიდან რომ დაიწყოს სწავლა ცუდი არ იქნებოდა. დაბალი საფეხურიდან იწყებს მარტივი მასალით, რომელსაც საფეხურების მიხედვით უმატებს ახალს, ასე ნაწილ-ნაწილ მიწოდებული მომგებიანია, ნამდვილად“

„ყველა საფეხურზე მნიშვნელოვანია, კარგი იქნებოდა ისწავლებოდეს მეთორმეტე კლასშიც, ვინაიდან ამ ეტაპზე ისინი ირჩევენ პროფესიას და მნიშვნელოვანია ხელოვნების საშუალებით მათი აზროვნების ფორმირება“

აღნიშნული პასუხებიდან გამომდინარე ჩანს, რომ მასწავლებელთა აბსულუტურ უმრავლესობას მიაჩნია, რომ მუსიკა და ხელოვნება ისწავლებოდეს სამივე საფეხურზე, რადგან აღნიშნული საგნებით მოსწავლეები უამრავი უნარ-ჩვევებით შეიარაღდებიან. რომ ყველა საფეხურზე საგნების სწავლებას სპეციფიკური ნიშნები გააჩნიათ.

- **რა იქნებოდა თქვენი სურვილი, რას დაამატებდით საგნის სწავლების პროცესის უკეთ წარმართვისათვის?**

გამოკითხული მასწავლებლებიდან რამდენიმე სურვილს გამოთქვამს რომ სისტემაში რაღაც შეიცვალოს. მათ არ აკმაყოფილებთ არსებული რესურსები და სასწავლო გარემო და სურვილი აქვთ გაიზარდოს მოთხოვნა და დამოკიდებულება აღნიშნულ საგნებთან მიმართებით.

თუმცა კი რესპოდენტთა უმეტესი ნაწილი მაინც თავს იკავებს ამ კითხვაზე პასუხისგან და შემოიფარგლება ზოგადი ფრაზებით.

„კარგი იქნება სახელმწიფომ გააკეთოს მეტი გამოფენა, წარმოდგენები და სპეკტაკლები, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ხშირად დასწრება და განვითარება“

„შევცვლიდი ეროვნულ სასწავლო გეგმას, შევცვლიდი შინაარსს და მიდგომას სხვადასხვა მასალის სწავლებისას. საგნობრივი მასალა, რომელიც ძალიან ბევრ სტრუქტურაში დაწუნებულია არ შეიძლება მაინც შეიტანო სასწავლო პროგრამაში“

„კარგი იქნება საზოგადოების აზრი შეიცვალოს, ზოგიერთი მშობელი პრიორიტეტულ საგნად არ თვლის ესთეტიკურ საგნებს, მაშინ როდესაც ეს საგნები ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლმხედველობის ფორმირებისას“

„ჩემი სურვილი, რავიცი ნორმალურად მიდის ყველაფერი, საკმარისია, კარგია, დოზირებულია, ბავშვებიც არ იტვირთებიან. ნორმალურია გაკვეთილებისა და დავალებების მოცულობა. ვისურვებდი ხშირად გვქონდეს საშუალება იმისა, რომ გავიდეთ მუზეუმებში. საკმარისია ყველაფერი ინფორმაციაც და ურთიერთობაც“

როგორც ვნახეთ, აქაც ორი შეხედულება გამოიკვეთა. თუ ერთი ნაწილი ცვლილებების მოლოდინშია, მეორე ნაწილს არსებული აკმაყოფილებს, მაგრამ მაინც გამოთქვამს სურვილს ხშირად მიეცეს საშუალება იმისა, რომ განახორციელოს კლასგარეშე აქტივობები.

რაც შეეხება ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის მეორე ნაწილს. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, რაოდენობრივი კვლევის მეთოდით კერძოდ, ჩვენ მიერ შერჩეული სკოლებიდან, ონლაინ კითხვარის საშუალებით გამოვიკითხეთ საბაზო საფეხურის 150 მოსწავლე. კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა მასწავლებელთა გამოკითხის შედეგად მიღებული მონაცემების სიზუსტე. ასევე ჩვენი კვლევის მიზანია დავადგინოთ მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლების პროცესში.

შეჯერებული სახით წარმოგიდგენთ მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ მონაცემთა ანალიზს:

- **თქვენი აზრით, რა არის ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლების მიზანი სკოლაში?**

კვლევის შედეგების მიხედვით, მოსწავლეთა 38% აცხადებს რომ მიზანი ზოგადი განათლების მიღებაა. გამოკითხულთა 32%-თვის საგნების სწავლის მიზანია გემოვნების ჩამოყალიბება, 18%-ის აზრით, მიზანია გაიგონ რა არის მუსიკა და რა ხელოვნება, ისწავლონ მხატვრებისა და შემოქმედების ბიოგრაფიები და მათი ნაწარმოებები, ხოლო 12% ესთეტიკური აღზრდის სწავლის მიზეზად სხვა ფაქტორებს ასახელებბს.

- **მიგაჩნიათ თუ არა რომ ესთეტიკური აღზრდის საგნების გაკვეთილები ერთფეროვანი და უინტერესოა?**

აღნიშნულ შეკითხვაზე ასეთი მონაცემები მივიღეთ: გამოკითხულთა 57% მიიჩნევს, რომ ესთეტიკური აღზრდის საგნები უინტერესოა და ერთფეროვანი, მოსწავლეთა 20% - თვის არც საინტერესოა და არც უინტერესო, ხოლო გამოკითხულთა 23% ფიქრობს რომ მუსიკა და ხელოვნება საინტერესოა.

- **რამდენად გაინტერესებთ მუსიკისა და ხელოვნების გაკვეთილები სკოლაში?**

შედეგები აღნიშნულ კითხვაზე თითქმის თანაბრად გადანაწილდა. გამოკითხულთა 30%-თვის მუსიკა უფრო საინტერესოა, ვიდრე ხელოვნება, გამოკითხულთა 32% ფიქრობს, რომ ხელოვნება უფრო საინტერესოა. ორივე ერთნაირად საინტერესოა - აფიქსირებს 18%, ხოლო გამოკითხულთა 19%-თვის ორივე საგანი ერთნაირად უინტერესოა.

- **მიგაჩნიათ, რომ ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლა მნიშვნელოვანია და მას გამოიყენებთ პრაქტიკულ საქმიანობაში?**

გამოკითხულთა 34% მიიჩნევს, რომ მუსიკა და ხელოვნება მნიშვნელოვანი საგნებია, ხოლო 66%-თვის კი, პირიქით, ფიქრობენ, რომ ესთეტიკური აღზრდის საგნები არც ისე დიდი მნიშვნელობისაა და არ გამოადგებათ ცხოვრებაში.

- **თქვენი ამხანაგები თვლიან თუ არა რომ ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლა მნიშვნელოვანია?**

როგორც მოსწავლეთა უმეტესობა 52% აღნიშნავს, მათ მეგობრებსაც უმნიშვნელოდ მიაჩნიათ საგნები, 33% აცხადებს რომ შეკითხვაზე პასუხი არ იცის, ხოლო 15%- ის აზრით, მის თანაკლასელებს მოსწონთ ხელოვნების საგნები და მათთვის ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლა მნიშვნელოვანია.

- **ძირითადად რა აქტივობებს გთავაზობთ ხოლმე მასწავლებელი გაკვეთილის მსვლელობისას?**

ღია შეკითხვაზე მოსწავლეებმა სხვადასხვა პასუხები დააფიქსირეს. ყველაზე ბევრჯერ განმეორდა პასუხი, რომლის მიხედვითაც მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებიან ხატვაში, მათი თქმით ხატვა დომინირებს გაკვეთილებზე. ასევე დასახელებულ პასუხებში ვკითხულობთ რომ მასწავლებელი მიმართავს ჯგუფურ სამუშაოებს, ისინი ჯგუფში აანალიზებენ სხვადასხვა ნამუშევრებს. შედეგებიდან ჩანს, რომ ძირითადი აქტივობები მაინც ხელოვნებას მიემართებოდა და მუსიკის გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობები თითქოს დაიჩრდილა.

- **თვალსაჩინოებები გიადვილებთ საკითხის გაგებას თუ თქვენთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს?**

გამოკითხულთა უმეტესი ნაწილისთვის 45 პროცენტისთვის თვალსაჩინოებას დიდი მნიშვნელობა აქვს და მისი დახმარებით საკითხს უკეთ იგებს, 30%-თვის

მნიშვნელობა არ აქვს თვალსაჩინოებას, ამის გარეშეც ყველაფერს კარგად აღიქვამს. გამოკითხულთა 25% აცხადებს, რომ გაკვეთილზე არ იყენებენ თვალსაჩინოებებს.

- **რამდენად კმაყოფილი ხართ მასწავლებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციების ხარისხით? რამდენად კარგი გადმოცემის უნარი აქვთ მათ?**

შთაბეჭდილება მრჩება ხოლმე, თითქოს დაზეპირებულ ლექსს გვიკითხავენ, რაც ჩემთვის მასალის გაუგებრობას იწვევს - პასუხს აფიქსირებს 27%, ინფორმაციას საკმაოდ საინტერესოდ გვაწვდის და ეს სრულიად გასაგებია - ფიქრობს 29%, გამოკითხულთა 18%-ის აზრით, მასწავლებელი ძალიან უემოციოა და ყველა საკითხს ერთ ტონალობაში აწვდიან, რაც მათთვის ძალიან მოსაწყენია, ხოლო, მასწავლებელი ძალიან პოზიტიურია და უინტერესო მასალასაც საინტერესოდ გვაწვდის - ფიქრობს გამოკითხულთა 26%.

- **როგორ მიმდინარეობს მუსიკისა და ხელოვნების გაკვეთილი სკოლაში, მასწავლებელი მხოლოდ წიგნის პროგრამას მიყვება, თუ შემოაქვს დამატებითი მასალა და იმას გასწავლით?**

მოსწავლეთა 68% ამბობს, რომ ძირითადად მხოლოდ წიგნის პროგრამით სწავლობენ, ზოგჯერ შემოაქვს დამატებითი საკითხავი მასალა - აცხადებს 17%, უმეტესად გაკვეთილის მასალასთან ერთად დამატებით გვაძლევს სხვა მასალასაც - აცხადებს გამოკითხულ მოსწავლეთა 15%.

- **ბოლოს როდის იყავით მასწავლებელთან ერთად მუზეუმში, თეატრში ან გამოფენებზე?**

ასეთ ადგილებში არ დავდივართ - აცხადებს მოსწავლეთა 27%, გამოკითხულთა 29% აცხადებს, რომ მასწავლებელთან ერთად მუზეუმში იყვნენ დაახლოებით 1 წლის წინ. დადიან ხანდახან - ფიქრობს გამოკითხულთა 44%.

- **გაკვეთილზე ხდება თქვენი ინდივიდუალური სასწავლო შესაძლებლობების გათვალისწინება?**

გამოკითხულთა შედეგების მიხედვით, მოსწავლეთა 42% ფიქრობს, რომ მასწავლებელი ითვალისწინებს მათს სურვილებსა და შესაძლებლობებს. ხოლო ხშირად გვიწევს იმის გაკეთება, რაც მოსაწყენია ჩვენთვის - აცხადებს გამოკითხულთა 58%.

- **რამდენად ახერხებს მასწავლებელი კლასში დისციპლინის შენარჩუნებას?**

გამოკითხულთა 27% ფიქრობს, რომ კლასში ხშირად არის ხმაური და მასწავლებელს უჭირს მათი დაწყნარება. მასწავლებელი უმეტესად ახერხებს დისციპლინის შენარჩუნებას გაკვეთილზე - ფიქრობს 43%. ზოგჯერ ახერხებს, ზოგჯერ ვერ ახერხებს - ფიქრობს კვლევაში მონაწილე მოსწავლეთა 30%.

- **ისურვებდით მუსიკისა და ხელოვნების სწავლას საშუალო საფეხურზე?**

გამოკითხულთა მონაცემების მიხედვით შედეგები ასე გადანაწილდა: არ მსურს აღნიშნული საგნების სწავლა საშუალო საფეხურზე - აცხადებს მოსწავლეთა 29%, გამოკითხულთა 51%-ს სურს საგნების სწავლა, ხოლო 20%-თვის არ აქვს მნიშვნელობა ისწავლის თუ არა.

- **თქვენი აზრით რატომ უნდა ისწავლოთ აღნიშნული საგნები მე-11-მე-12 კლასებში?**

გამოკითხულ მოსწავლეთაგან (102 მოსწავლე), რომლებიც ფიქრობენ, რომ მუსიკა და ხელოვნება უნდა ისწავლებოდეს აღნიშნულ საფეხურზე. დააფიქსირეს თუ რატომ უნდა ისწავლონ აღნიშნული საგნები მე-12 კლასშიც. შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 51% თვლის, რომ გაკვეთილებზე არ უწევთ მეცადინეობა და საგნები მათი განტვირთვის საშუალებაა. 23% ფიქრობს, რომ შესაძლოა მომავალი პროფესია

აღნიშნულ საგნებს დაუკავშირონ, ხოლო 26%-ის აზრით საგნები არც ისე მნიშვნელოვანია და ამ დროს სხვა საგნის სწავლებას დაუთმობდნენ.

მოსწავლეეთან ჩატარებული კვლევის შედეგად ჩანს, რომ მათი ინტერესი და მოტივაცია საგნების სწავლების მიმართ არც თუ ისე მაღალია. მათი თქმით, გაკვეთილებზე მეტ-ნაკლებად ითვალისწინებენ მათს ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, თუმცა ჩატარებული გაკვეთილები მაინც მოსაწყენი და ერთფეროვანია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არც მოსწავლეებმა არ იციან რა არის ესთეტიკური აღზრდის საგნების მუსიკისა და ხელოვნების სწავლების მიზნები და ამოცანები. მოსწავლეები არც თუ ისე კმაყოფილები არიან მასწავლებელთა მიერ წარმართული გაკვეთილებით, ისინი აცხადებენ, რომ გაკვეთილები ერთფეროვანია, რადგან მასწავლებლები არ იყენებენ დამატებით მასალასა და სასწავლო რესურსს, ასევე არ მონაწილეობენ კლასგარეშე ღონისძიებებში, რაც ასე მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში.

აღნიშნული ნაშრომის ბოლო ეტაპი ითვალისწინებს შედეგებისა და რეკომენდაციების შემუშავებას. ამ მიზნით შევაჯერეთ მასწავლებლებისა და მოსწავლეების გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემები და შევიმუშავეთ ერთიანი დასკვნები და რეკომენდაციები.

დასკვნები

- ✓ კვლევაში მონაწილე მასწავლებელთა უმრავლესობა პროფესიით არ არის მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებელი. მათი პროფესია სულ სხვა სფეროს უკავშირდება.
- ✓ შედეგების მიხედვითა ასევე ვნახეთ, რომ მასწავლებელთა უმრავლესობას დადასტურებული არ აქვს საგნობრივი კომპეტენცია.
- ✓ მასწავლებლები არ იცნობენ ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც ესთეტიკური აღზრდის საგნებს მიემართება, შესაბამისად მოსწავლეებიც ვერ იაზრებენ სწავლის მიზანს.
- ✓ გამოკითხულთა უმრავლესობამ, არ იცის რა არის ესთეტიკური აღზრდის მიზნები და ამოცანები.
- ✓ ბუნებრივია, მასწავლებლებმა არ იციან ჰარმონიული აღზრდის იდეა.
- ✓ შედეგებმა გვიჩვენა, რომ მასწავლებლებმა არ იციან რა მიზნით ასწავლიან მუსიკასა და ხელოვნებას, მათი შეხედულებები ძალიან მცირე არეალით შემოიფარგლება.
- ✓ კვლევამ გამოკვეთა შედეგი, რომლის მიხედვითაც, მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი ახერხებს კლასში დისციპლინის შენარჩუნებას.
- ✓ შედეგების მიხედვით, მასწავლებლებს არ აქვთ მწყობრად შემუშვებული მეთოდები, რომლებითაც ისინი მიზანს მიაღწევენ, აქედან გამომდინარე მოსწავლეთა ინტერესი საგნების მიმართ დაბალია.
- ✓ სკოლაში მომუშავე ჩვენ მიერ გამოკითხული მასწავლებლები არ იყენებენ განსაკუთრებულ აქტივობას იმისათვის, რომ მოსწავლეებს გამოუმუშავონ მხატვრული აზროვნებისა და ხელოვნების ნიმუშების აღქმის უნარები. არ აქვთ აქტივობათა ჩამონათვალი, რომელიც მათ მოსწავლეთა მსოფლხედველობისა და გემოვნების ჩამოყალიბებაში დაეხმარებათ.
- ✓ სამწუხაროდ მუსიკისა და ხელოვნების გაკვეთილები არაა მოწყობილი იმგვარად, რომ განახორციელონ კლასგარეშე აქტივობები, რომლებიც ესთეტიკური აღზრდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

- ✓ მასწავლებელთა უმეტესი ნაწილისთვის მთავარი პრობლემა გაკვეთილების მსვლელობისას არის სასწავლო და დამატებითი რესურსების არქონა. მუსიკალური ინსტრუმენტები, თუნდაც ხელოვნების ნიმუშები სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.
- ✓ გამოიკვეთა სახელმძღვანელოების პრობლემაც. მასწავლებლები ფიქრობენ, რომ მხოლოდ სახელმძღვანელოში გაწერილი პროგრამით ვერ შეძლებენ მიზნის მიღწევას, თუ გაკვეთილზე არ შეიტანეს დამატებითი მასალა.
- ✓ კვლევაში მონაწილეთა პასუხებიდან ჩანს, რომ საზოგადოების დამოკიდებულება ესთეტიკური აღზრდის საგნების მიმართ არ არის ადეკვატური. უფროსების მიუღებლობა კი თავისთავად მოქმედებს მოსწავლეთა დაბალ ინტერესზე.
- ✓ ბოლოს უნდა ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი ესთეტიკური აღზრდის საგნებში სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში არ მიმდინარეობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად.

რეკომენდაციები

- ✓ კვლევის შედეგების მიხედვით, ვფიქრობთ, რომ კარგი იქნებოდა გადაიხედოს ეროვნული სასწავლო გეგმა და უფრო კონკრეტულად გაიწეროს მასში ესთეტიკური აღზრდის მიზნები და ამოცანები.
- ✓ საჭიროა მასწავლებლებს სხირად ჩაუტარდეთ გადამზადების კურსები და აქტიურად მიეწოდოთ ინფორმაციები ესთეტიკური აღზრდის საგანთა მიზნების შესახებ.
- ✓ საჭიროა დაინერგოს უფრო მეტი ტრენინები იმისთვის, რომ მასწავლებლებმა შეიმუშაონ აქტივობათა მწყობრი სისტემა, რათა გაკვეთილის პროცესი უფრო მეტად პოზიტიურად და საინტერესოდ წარიმართოს.
- ✓ ვფიქრობთ, საჭიროა გადაიხედოს კანონი, რომელიც მასწავლებელთა სკოლაში აყვანას დაარეგულირებდა. სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელს არ უნდა ჰქონდეს საშუალება იმისა, რომ სკოლაში ასწავლონ ესთეტიკური საგნები.
- ✓ საჭიროა სკოლებს მიეწოდოთ დამატებითი დაფინანსებები იმ მიზნით, რომ მათ შეძლონ საჭირო ინვენტარისა და დამატებითი რესურსების შეძენა.
- ✓ ვფიქრობთ, საჭიროა სკოლის მასწავლებლებმა ხშირად მოაწყონ კლასგარეშე და სკოლისგარეშე აქტივობები, ჩაერთონ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, რაც მოსწავლეთა მსოფლხედველობის ფორმირებას, მათი კულტურული დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს.
- ✓ ვფიქრობთ, გადასახედია სახელმძღვანელოებში გაწერილი სასწავლო პროგრამის შინაარსი და მოცულობაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი ვ. „ქართული პედაგოგიკური აზრი და მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა (1930-1970)“, თბილისი, 1990, 152 გვ;
2. გიორგაძე ო. „განათლების რეფორმა და ესთეტიკური აღზრდა“, ბათუმი, გამომცემლობა აჭარა, 1997, 159 გვ;
3. გიორგაძე ო. „ხელოვნება და ესთეტიკური აღზრდა“, ბათუმი, 1997;
4. გოგინავა ემ. „ესთეტიკური აღზრდის საკითხები“, თბილისი, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1955, 76 გვ;
5. „ესთეტიკური აღზრდის საკითხები სკოლაში“, კრ. I, თბილისი, 1963;
6. ზოდელავა ნ. „ი.გოგებაშვილი დედაენის, როგორც ესთეტიკური აღზრდის აუცილებელი ფაქტორის შესახებ“, თბილისი, განათლება, 1966;
7. კანდელაკი თ. „ესთეტიკური აღზრდის საკითხები სკოლაში“, კრ. I, თბილისი, 1963;
8. კუკავა თ. „ესთეტიკა“, თბილისი, 1997;
9. „პედაგოგიკა“, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1994, 292 გვ;
10. „პედაგოგიური ფსიქოლოგია“, ნაწ. მეორე, თბილისი, 1965;
11. ურუშაძე ი.ა. „ესთეტიკური აღზრდა სკოლაში“ თბილისი, 1950;
12. წოწონავა ბ. „ესთეტიკა“ თბილისი, ხელოვნება, 1974;
13. ჭკუასელი ქ., ჭკუასელი ი. „პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები“, თბილისი, ინტელექტი, 2012;
14. ჯაში ნ. „ესთეტიკა“, თბილისი, 1986;

15. ეროვნული სასწავლო გეგმა

http://ncp.ge/files/ESG/NC%202018-2024/%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%92%20-%202018%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%207%20%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C.pdf

http://ncp.ge/files/subjects/sabunebismetyvelo%20mecnierebebi/XVIII%20%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%20-%20%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%20%20%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98.pdf;

16. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ

http://www.mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf;

17. National Curriculum for Basic Schools

https://www.hm.ee/sites/default/files/est_basic_school_nat_cur_2014_appendix_6_final.pdf.

დანართი 1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Psychology and Educational Sciences

Master's program **"Educational Sciences"**

Makishvili Tamta

Issues related to the teaching of aesthetic upbringing at secondary school

The thesis is fulfilled for the purpose of getting Master's academic degree in Educational Sciences

Master's thesis advisor: Tamaz Karanadze

Emeritus Professor of Faculty of Psychology and Educational Sciences at TSU,

Doctor of Pedagogical sciences

Tbilisi

2019